პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდი

ლიტერატურული საქართველო

1936 წ. მაისის 24

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო

ფასი 50 კ. № 7

ახალი სიმაღლეებისაკენ

პირველ საკავშირო ყრილობის შემდეგ, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპზე სალიტერატურო ორგანიზაციათა მთავარ ამოცანას მწერლებისადმი შემოქმედებითი—საწარმოო დახმარების ორგანიზაცია შეადგენდა. მწერლის უშუალო დახმარება კვალიფიციური კონსულტაციით, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდა მწერლებთან, საბჭოთა მწერლების სოციალისტურ სინამდვილესთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება, ლიტერატურის მაღალ ხარისხისათვის ბრძოლის საკითხების ყურადღების ცენტრში დაყენება,—აი სალიტერატურო ორგანიზაციათა მთავარი ამოცანები.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ყველაფერი თავის რიგზე არ არის.

მხატვრულ ლიტერატურის ის სამართლიანი კრიტიკა, რომელიც გაისმა ლენინურ-სტალინურ კომკავშირის მე-10 ყრილობაზე, გვავალებს დაუყოვნებლივ შევუდგეთ ყველა იმ დიდ ნაკლთა გამოსწორებას, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეს.

მძაფრი კრიტიკის ხმა კომკავშირის ყრილობაზე მხატვრული ლიტერატურის მიმართ, მაჩვენებელია ფართო მშრომელი მასების დიდი სიყვარულისა ლიტერატურისადმი, ჩვენი ახალგაზრდობის უჩვეულო კულტურული ზრდისა. საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი დონე უკვე აღარ აკმაყოფილებს საბჭოთა მკითხველის გაზრდილ კულტურულ-ესთეტიურ მოთხოვნებს. დღეს უკვე ჩვენი მკითხველის კულტურული სახე რადიკალურად შეიცვალა: მისი თეორიული დონე ამაღლდა, მოწინავე ტექნიკას დაუფლებული, იგი უდიდესი ენტუზიაზმით იბრძვის ახალი სიმაღლეების დასაპყრობად სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

ჩვენი ახალ ადამიანთა ზრდა წინ უსწრებს ლიტერატურის ზრდას. სწორედ ამიტომ დიდია მხატვრული ლიტერატურისადმი მოთხოვნები და სავსებით სამართლიანი და დროული მხატვრული ლიტერატურის კრიტიკა კომკავშირის ყრილობაზე.

ჩვენი დიადი ცხოვრება მოითხოვს, რომ მთავარი ყურადღება მივაქციოთ მაღალმხატვრულ ხარისხის ლიტერატურის შექმნას, გავაძლიეროთ ბრძოლა ისეთი ლიტერატურის შექმნისათვის, რომელიც შეეფერება სოციალიზმის ეპოქას.

ჩვენი საბჭოთა მწერლები გააკეთებენ შესაფერ დასკვნებს იმ სამართლიანი ამხანაგური კრიტიკიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომკავშირის ყრილობაზე.

პირველ რიგში ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იქნეს ენერგიულად გავშალოთ მზადება ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავისათვის. ამ უდიდეს ისტორიულ თარიღს ჩვენი ლიტერატურა უნდა შეხვდეს მაღალი მხატვრული ხარისხის ახალი პროდუქციით. ჩვენ უნდა შევამოწმოთ თვითეული მწერლის მზადყოფნა ამ ხაზით და, რაც მთავარია, უზრუნველვყოთ მწერლისადმი შემოქმედებითი საწარმოო დახმარება. უმთავრესად ამ საკითხებით უნდა განისაზღვროს მწერალთა კავშირის ყველა ხელმძღვანელ ორგანოთა საქმიანობა.

„ორი ხუთწლედის“ რედაქციაში გამართულმა თათბირმა ცხადყო, რომ იმ დიდ ამოცანათა რეალიზაციისათვის, რომელიც დასახული იყო მწერალთა საკავშირო გამგეობის ცნობილ მომართვაში, ფაქტიურად თითქმის არაფერია გაკეთებული.

„ორი ხუთწლედის“ წიგნების შექმნისათვის მუშაობის დაუყოვნებლივი გაჩაღება მთელი ჩვენი ლიტერატურული კოლექტივის მთავარი ამოცანაა. რამდენიმე ჩვენმა მწერალმა (**ს. კლდიაშვილი, ლ. ქიაჩელი** და **კ. ლორთქიფანიძე**) რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ „ორი ხუთწლედის“ რედაქციის მიერ გამართულ თათბირში, უკვე აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათი მონაწილეობა „ორ ხუთწლედში“ უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ მარტო ამ მწერლებით არ უნდა განისაზღვროს ჩვენი მონაწილეობა „ორ ხუთწლედში“. მწერალთა კავშირის მთელი აქტივი უდიდესი ენერგიით უნდა ჩაებას ამ საქმეში.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერალთა კოლექტიურ მუშაობას. რამდენიმე მაგალითი გვაქვს, როდესაც მწერლების კოლექტიურ მუშაობამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, ყველამ იცის, თუ როგორ დროულად მთელის პრინციპიალობით დააყენა ეს საკითხი **მაქსიმ გორკიმ**.

კოლექტიური მუშაობის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცეს პოეტებმა **პ. იაშვილმა, გ. ლეონიძემ, ნ. მიწიშვილმა** და **ა. მაშაშვილმა**, როცა მათ ქართველი მშრომელი ხალხის წერილი დიდი ბელადისადმი მაღალ პოეტურ სახეებში გადაიტანეს. ამ დიდი მნიშვნელობის ფაქტს არ შეიძლება თავისი გამოხმაურება არ ეპოვნა ჩვენ მწერალთა ფენებში.

„ლიტერატურულ საქართველოს“ ამ ნომერში ჩვენ ვაქვეყნებთ მეტად მნიშვნელოვან ცნობას იმის შესახებ, რომ სამი საბჭოთა პოეტი: **ნ. მიწიშვილი, ტ. ტაბიძე** და **ს. ჩიქოვანი** უკვე შეუდგა „ორი ხუთწლედისათვის“ **კოლექტიურად** პოემის შექმნას თემაზე **„სამშობლო“**. მათი შეკავშირებული, კოლექტიური მუშაობა აუცილებლად უზრუნველჰყოფს მაღალხარისხოვანი ნაწარმოების შექმნას ამ თემაზე. მწერალთა კავშირი ყოველმხრივ დაეხმარება, რომ შექმნან მათ იდეურად, მხატვრულად გამართული პოემა დიდი პროლეტარული რევოლუციის ოცი წლის თავისათვის.

მწერალთა კავშირის მთელი პრაქტიკული საქმიანობა იქით უნდა წარიმართოს, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავს ქართული საბჭოთა ლიტერატურა ღირსეულად შეხვდეს.

ახალგაზრდობის კულტურული ზრდა და მხატვრული ლიტერატურა

ამხ. კოსარევის მოხსენებიდან

დაეუფლო ყოველივეს, რაც კულტურას საუკეთესო გააჩნია, — ეს არ ნიშნავს — „დაამუშაო“ 2-3 წიგნაკი, ან შეიძინო საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც მხოლოდ ბინის სამკაული იქნება.

თანამედროვე ახალგაზრდა არა მარტო კარგად უნდა მუშაობდეს საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, არამედ სწავლობდეს აგრეთვე ტექნიკას, მეცნიერებას, კითხულობდეს კლასიკოსებს.

რამდენიმე წლის წინათ შექსპირს, ბალზაკს, გოეთეს, პუშკინს, გორკის, რომენ როლანს და მსოფლიო ლიტერატურის მრავალ სხვა კლასიკოსს ჩვენი აქტივის მხოლოდ ვიწრო წრე იცნობდა. კომკავშირელ პოეტთა პოპულარობა ზოგჯერ უფრო მეტი იყო ვიდრე უეჭველი პოპულარობა, ვსთქვათ, მათი გენიალური წინამორბედებისა და თანამედროვე მწერლებისა. მართალია, ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობდა ფართოდ გავრცელებული მავნე პროლეტკულტის თეორია იმის შესახებ, რომ პროლეტარული ლიტერატურის საწყისებს წარმოადგენს ადრინდელი მუშა-მწერლების შემოქმედება და არა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის მწვერვალები.

ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. გაიზარდა ჩვენი ახალგაზრდობის მხატვრული გემოვნება. გაიზარდა იმდენად, რომ მრავალმა ნაწარმოებმა, რომელიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ მას აკმაყოფილებდა, მიჩნეული იყო მის წრეში, — ახლა დაჰკარგა თავისი წინანდელი ღირებულება. მათ ვერ გაუძლეს დროის მიერ გამოცდას.

სამწუხაროდ ამის გაგება არ სურს ზოგიერთ ჩვენს ამხანაგ მწერალს, რომელთა ნაწარმოებებში, როგორც დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი სწერდა: „...არ არის აზრის სიღრმე, გრძნობის ალი, არ არის ლირიზმი, ხოლო თუ ყოველივე ეს ოდნავ მაინც არის, — ნაძალადევად დაძაბულია და გაზვიადებული, რასაც მეტისმეტად გადაჭარბებული მაღალფარდოვანი ფრაზეოლოგია ამტკიცებს, რომელიც არასოდეს არ არის ღრმა, ნატანჯი და ენერგიული გრძნობის შედეგი“.

ამ დღეებში გამოქვეყნდა ა. მ. გორკის სტატია „ფორმალიზმის შესახებ“ და მისი მისალმება ჩვენი ყრილობისადმი. ვიზიარებ რა ა. მ. გორკის თვალსაზრისს, მის სტატიაში გამოთქმულს, ვფიქრობ, მთელი ყრილობის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ლენინური კომკავშირი აქტიურად დაეხმარება ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას მის რთულ და პასუხსაგებ ამოცანების გადაწყვეტაში.

ჩვენი მწერლების ძალიან ბევრ ნაწარმოებს შეეხება ბელინსკის შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, რომ იქ, ნაწარმოებებში... „არ არის ჭეშმარიტი ცხოვრება. არ არის ისეთი სინამდვილე, როგორიც ცხოვრებაშია, ვინაიდან ყველაფერი მოგონილია: ყველაფერი გამოანგარიშებულია ალბათობის მიხედვით, როგორც ეს ხდება მანქანების გაკეთების ან მოგონების დროს, ვინაიდან იქ ჩანს ძაფები, რომლებითაც შებოჭილია მათი მოქმედება, ჩანს ბლოკები და თოკები, რომლებითაც მოძრაობაშია მოყვანილი ამ მოქმედების სვლა; ერთი სიტყვით, ეს არის თეატრის შინაგანი მოცულობა, რომელშიაც ხელოვნური განათება ებრძვის დღის სინათლეს და მარცხდება მის მიერ“ (სტატიიდან „რუსულ მოთხრობებსა და გოგოლის მოთხრობებზე“).

ზოგიერთ თანამედროვე მწერალსა და პოეტს არასგზით არ უნდა გაიგოს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა ლიტერატურა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ის, რომელიც შექმნილია კაცობრიობის მთელი წინა-ისტორიის მიერ. ჩვენი აწმყო იმდენად მრავალფეროვანია, ჩვენი მომავალი იმდენად დიადია, რომ ჩვენ, უეჭველად, ყველა საფუძველი გვაქვს შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, როგორიც კაცობრიობას არასოდეს არ ჰქონია.

(ხმები: მართალია! ტაში).

ზოგიერთი მწერალი და პოეტი ფიქრობს, რომ ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარება უნდა წარიმართოს რაღაც მიხვეულ-მოხვეული გზით, და არა მსოფლიო ლიტერატურის ფართო გზით. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ვაშენებთ ლიტერატურას, რომელიც გათვალისწინებულია სადღეისოდ, და არა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

ზოგიერთი მწერლისა და პოეტის ჩამორჩენა დროის მოთხოვნათაგან (მომიტევონ, თუ მათთვის ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ ეს გულწრფელად იქნება ნათქვამი) აიხსნება იმით, რომ ისინი უფრო ფულის კეთებას მისდევენ და ცოტას მუშაობენ თავის ნაწარმოებთა ხარისხზე.

(ხმები: მართალია! ტაში).

ისინი უფრო ხშირად ცდილობენ თავის ნაწარმოებთა ხელახლა გამოცემას, ვიდრე ახლების შექმნას. ყველასათვის ცნობილია, რომ საზღვარგარეთ მსოფლიო სახელის მქონე უდიდესი მწერლები უარეს მატერიალურ პირობებში იმყოფებიან, ვიდრე ეგრეთწოდებული დამწყები მწერლები ჩვენში. (ხმები მართალია!)

ზოგიერთი მწერლისა და პოეტის ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ მათ ქონი მოიკიდეს (სიცილი, ტაში) რომ ისინი მოსწყდნენ ბრძოლას (ხანგრძლივი ტაში).

ის მაღალი მოთხოვნები, რომლებსაც ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა მწერლებს უყენებს, სავსებით კანონიერია. ეს მოთხოვნები ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავადიდოთ იმ ადამიანების შრომის მიმართ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დააჯილდოეს ისეთი საპატიო სახელწოდებით, როგორიცაა „ადამიანის სულის ინჟინრები“.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ)-ის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების პოპულარიზაციის შესახებ და გამოიტანა სათანადო დადგენილება.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამხ. სტალინის მითითება—მაიაკოვსკი „იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის უკეთეს და უნიჭიერეს პოეტად“—ავალებს სალიტერატურო, საგამომცემლო და სხვ. ორგანიზაციებს მიიღონ ყველა ღონისძიება მაიაკოვსკის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციის და მშრომელთა შორის მის ნაწარმოებთა გავრცელებისათვის. ეს მით უფრო შეეხება საქართველოს, რომელთანაც მაიაკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს სალიტერატურო და საგამომცემლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ საკმაო ყურადღებას მაიაკოვსკის შემოქმედების პოპულარიზაციას და მის ნაწარმოებთა გავრცელების საქმეს.

დღემდე ქართულ ენაზე გამოცემული არ არის მაიაკოვსკის არც ერთი ნაწარმოები. მაიაკოვსკის გარდაცვალების 6 წლის თავი სალიტერატურო ორგანიზაციების მიერ საკმაოდ ფართოდ არ იყო აღნიშნული. რესპუბლიკურმა გაზეთებმა სრულიად არასაკმარისად გააშუქეს მაიაკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება.

აღნიშნა რა ეს მდგომარეობა, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ვ. მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე, თვითეული ტომის მოცულობა განსაზღვრა 12-15 ბეჭდვითი ფურცელით, ხოლო ტირაჟი—5000 ცალი. 1-ლი ტომის რედაქტორად ც. კ-მა დაამტკიცა ამხ. ა. თათარიშვილი, მეორე ტომისა—ამხ. ვ. მაჭავარიანი. ც. კ.-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებამ რედაქტორებთან ერთად დეკადის ვადაში უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ორტომეულის გეგმა. 1-ლი ტომის გამოცემა ევალება სახელგამს მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრისათვის. მე-2-ე ტომის—გამ. „ფედერაციას“ არა უგვიანეს 1937 წლის მარტისა. პასუხისმგებელ რედაქტორებს ევალებათ უზრუნველყონ მაიაკოვსკის ნაწარმოებთა თარგმანების მაღალი ხარისხი, კერძოდ გადასინჯონ მაიაკოვსკის ცალკე ნაწარმოებთა უკვე არსებული თარგმანები.

მწერალთა კავშირმა და გაზეთ „ლიტერატურულმა საქართველომ“, ჟურნალებმა „მნათობმა“, „ჩვენმა თაობამ“, „საბჭოთა ხელოვნებამ“ უნდა უზრუნველყონ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ფართო და საფუძვლიანი გაშუქება; ხელოვნების საქმეთა მთავარ სამმართველომ—მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ასახვა ფერწერის, სკულპტურისა და მუსიკის ნაწარმოებში; გაზეთმა „კომუნისტმა“ და „მუშამ“—მაიაკოვსკის ცალკე ნაწარმოებთა თარგმანების და მაიაკოვსკის შესახებ წერილებისა და მასალების სისტემატიური მოთავსება.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას ამ დადგენილების თანახმად ს. კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებმაც უნდა განიხილონ ეს საკითხი და უზრუნველჰყონ მაიაკოვსკის ნაწარმოებთა გამოცემა აფხაზურ და ოსურ ენებზე, ხოლო სარაიონო და საქალაქო კომიტეტმა აგრეთვე პროფკავშირებმა, უნდა მოაწყონ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საღამოები და მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, მოწაფეთა კრებები. მწერალთა კავშირმა ფართო კრებებისა და საღამოებისათვის უნდა შეარჩიოს კვალიფიციური მომხსენებლები მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ.

კომისიას (ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით) დავალებული აქვს დაამუშაოს და წარადგინოს ცენტრალურ კომიტეტში ღონისძიებები მაიაკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ღირსების საქმე

ის გარემოება, რომ დღემდე ჩვენ არა გვაქვს რევოლუციის დიდი პოეტის — მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა თუნდაც ერთი კრებული ქართულ ენაზე, არის შეუვსებელი ხარვეზი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა უყურადღებობას ან გულგრილობას იჩენდა მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. პირიქით, იგი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყოველ მის შემოქმედებით ნაბიჯს და განიცდიდა კიდეც მისი პოეზიის ცხოველმყოფელ, განმაახლებელ ზედ მოქმედებას. მაგრამ ჩვენმა მწერლობამ მცირე რამ გააკეთა იმისათვის, რომ მაიაკოვსკი მისაწვდომი გაეხადა ქართველ მშრომელ მასებისათვის. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ბევრი ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომელთაც იცოდნენ ძალა და განუზომელი მნიშვნელობა მისი პოეზიისა, უკან იხევდა იმ პასუხისმგებლობისა და სიძნელის წინაშე, რომელსაც შეიცავს მაიაკოვსკის ქართულად თარგმნა.

მიუხედავად ამისა მაიაკოვსკის სახელი პოპულარულია ქართველ მშრომელ მასებში. ბევრს ახსოვს მისი მგზნებარე გამოსვლები ტფილისის და საქართველოს სხვა ქალაქების მუშათა აუდიტორიებში. პოეტის სახელი ქართველი მშრომელი მასის თვალში კიდევ უფრო ამაღლდა მას შემდეგ, რაც საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა დიდი ბელადის ამხ. სტალინის აზრი, რომ „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის უკეთეს და უნიჭიერეს პოეტად“. ამასთან გაძლიერდა ქართულად მოლაპარაკე მშრომელთა სურვილი წაიკითხონ მაიაკოვსკი გასაგებ ენაზე.

მასების ამ სურვილს გამოხატავს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 11 მაისის დადგენილება, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მაიაკოვსკის ცხოვრების და შემოქმედების საპოპულარიზაციო ღონისძიებათა ვრცელ პროგრამას.

უპირველეს ყოვლისა, არა რომელიმე სხვა ორგანიზაციის, არამედ მწერალთა კავშირის მოვალეობაა დაუყოვნებლივ გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი მის განსახორციელებლად. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ მიმდინარე წლის პირველი ნოემბრისთვის უზრუნველვყოთ მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომის გამოცემა, უზრუნველვყოთ თარგმანების **მაღალი ხარისხი.** ეს მოთხოვნა გვავალებს უაღრესი სერიოზულობით, გეგმიანობით და ორგანიზაციული დარაზმვით შევუდგეთ ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტას.

მაიაკოვსკის თარგმნა იოლი საქმე როდია. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაიაკოვსკის შემოქმედება თავისი შინაარსით და ფორმით სრულიად ახალი მოვლენაა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო პოეზიაში. რევოლუციური კლასის ახალმა იდეებმა უკარნახეს პოეტს ეძებნა ახალი გზები პოეტური შემოქმედებისა. სოციალისტური აზრით, რევოლუციური გზნებით გამსჭვალული მაიაკოვსკი ეძებდა პოეტური სიტყვის ახალ ფორმებს. მან შესძლო კიდეც შეექმნა პოეზია, რომელიც რაზმავს მილიონ მკითხველთა შეგნებას, აღელვებს მილიონების გრძნობებს. ურთულესი და ურღმესი იდეები, მოწინავე კლასისა მან მასების შეგნებამდე მიიტანა ისე, რომ არ დაუმდაბლებია არც ამ იდეების ბუმბერაზობა და არც პოეზიის მაღალი ხარისხი. მაიაკოვსკიმ შესძლო ღრმა იდეებით გამსჭვალული პოეზიის **ხალხურობის** რთული ამოცანის გადაწყვეტა. და პოეტის ეს უდიდესი გამარჯვება იყო არა მარტო მისი დიდი ნიჭის ნაყოფი, არამედ გულმოდგინე, ღრმად მოფიქრებული ლაბარატორიული მუშაობის შედეგი.

იდეების სიღრმე, სიახლე და ხალხურობა უნდა შერჩეს მაიაკოვსკის პოეზიას ქართულ თარგმანებშიც. ამისათვის საჭიროა ქართველმა პოეტებმა შეისწავლონ მაიაკოვსკის პოეზიის თავისებურობა, მთელი მისი ლაბარატორია, ის ხერხები, რომელთაც უზრუნველჰყვეს მისი ლექსების ახალი ხარისხი. ამ საქმის ორგანიზაცია უშუალო და ამასთან გადაუდებელი ამოცანაა პოეტების სექციისა, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა შეარჩიოს საუკეთესო ნიმუშები მაიაკოვსკის მდიდარი მემკვიდრეობიდან და მოაწყოს მათი ყოველმხრივი განხილვა — ანალიზი პოეტების წრეში, სადაც მაიაკოვსკის მთარგმნელებმა ერთი მეორეს უნდა გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, თავიანთი თვალსაზრისი და მოსაზრება, რომ კოლექტიური ღონისძიებებით გამომუშავებულ იქნას თარგმნის ისეთი მეთოდი, რომელიც შეუნარჩუნებს გადმოქართულებულ მაიაკოვსკის სიღრმეს, სიახლეს და ხალხურობას. ამავე სექციამ უნდა გადასინჯოს და საჭიროებისამებრ მთარგმნელებს დაავალოს დღემდე უკვე თარგმნილ ლექსთა გადამუშავება. უეჭველია, ამ წესით მუშაობა გამოიღებს უკეთეს ნაყოფს, ვიდრე სრულიად განკერძოებული და კარჩაკეტილი მუშაობა, რომელიც ხშირად მარცხით დამთავრებულა, როგორც ამას გვიჩვენებს მაიაკოვსკის ზოგიერთი ლექსის ქართული თარგმანი.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან გამომდინარეობს მწერალთა კავშირის მეორე ამოცანა უზრუნველყოს მაიაკოვსკის ცხოვრების და შემოქმედების გაშუქება ლიტერატურულ და ყოველდღიურ პრესაში. ამ საქმის მოწესრიგება უშუალოდ უნდა მიენდოს კრიტიკოსთა სექციას. მან თავის საუკეთესო წევრებს უნდა დაავალოს არა მარტო მაიაკოვსკის მემკვიდრეობის, არამედ მთელ იმ კრიტიკული ლიტერატურის შესწავლა, რომელიც მიძღვნილია პოეტის შემოქმედებისადმი და მეტ-წილად გაფანტულია რუსულ პერიოდულ გამოცემებში. მაიაკოვსკის პოეზიის ღრმა შესწავლის საფუძველზე დაწერილი მოხსენებები საფუძვლიანად განხილულ უნდა იქნეს კრიტიკოსთა სექციის სხდომებზე, ხოლო შემდეგ დაბეჭდილი ან წაკითხული ფართო მასიურ აუდიტორიის წინაშე. ეს ასწევს თვით ჩვენი კრიტიკის ხარისხს, გაამახვილებს მის იარაღს ქართულ პოეზიაში მაიაკოვსკისებური იდეურობისა და ხალხურობისათვის საბრძოლველად.

მწერალთა კავშირმავე უნდა მოაგვაროს მეთვალყურეობა ჩვენ საგამომცემლო ორგანიზაციებზე, რომ არ შეფერხდეს და დაწესებულ ვადებში გამოვიდეს მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა ორ-ტომეული.

მაიაკოვსკის თარგმნა, გამოცემა და მასებში გავრცელება ეს არის მთელი ჩვენი მწერლობის, მისი ორგანიზაციის ღირსების საქმე. ჩვენი ღირსების საქმეა ავამეტყველოთ მაიაკოვსკი იმ ქვეყნის მშრომელი მასების ენაზე, რომელთანაც დაკავშირებული იყო რევოლუციის ამ უბადლო პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

◆

ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის

მომავალ წელს სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წელი და გარდაცვალებიდან კი 30 წელი. საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექციამ თავის მორიგ სხდომაზე უკვე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები ამ საიუბილეო დატების აღსანიშნავად.

დაევალა მთელ რიგ კრიტიკოსებს ილიას შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე დასწერონ წერილები, სექციას განზრახული აქვს ამ სადღესასწაულო დღეებისათვის დაამზადოს და გამოსცეს ილიას შემოქმედების გარშემო კრიტიკული წერილების კრებული. მწერალთა სასახლეში მოეწყობა მთელი რიგი მოხსენებები ილიას კლასიკურ მემკვიდრეობის შესახებ.

ჩვენი გაზეთი სისტემატურად გამოაქვეყნებს ილიას ჯერ დაუბეჭდავ მასალებს, მისი თანამედროვეების მოგონებებს, კრიტიკულ წერილებს.

რედაქცია სთხოვს იმ ამხანაგებს, რომელთაც აქვთ რაიმე ღირსშესანიშნავი მასალა ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მოგვაწოდონ.



დემიან ბედნის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავ

ამხ. დემიან ბედნის

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კ მისართა საბჭო გესალმებათ თქვენი ბოლშევიკური ლიტერატურულ მოღვაწეობის 25 წლისთავზე. 25 წელია თქვენ ღირსეულად ატარებთ პოეტ — ბოლშევიკის დროშას, რომლის სიცოცხლე და დიდი ნიჭი ემ ხურება მუშათა კლასისა და გლეხობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი იცნობენ და დიდად აფასებენ თქვე ნაწარმოებთ, რომლებიც გამსჭვალულნი არიან მხურვალე ერთგულებ ლენინის საქმისადმი და რევოლუციური სიძულვილით მუშათა კლ სის მტრებისადმი.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბ გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებას თქვენს შ მოქმედებითს მუშაობაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო.
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

მისალმებანი

ძვირფასო ეფიმ ალექსისძევ!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მხურვალედ მოგესალმება შენ, ძვირფასო დემიან, შენი სასახელო სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავზე.

შენმა კალამმა პოეტური სიტყვა აქცია საბჭოთა სამშობლოს მტრებთან ბრძოლის მრისხანე იარაღად. მახვილი და ულმობელი სატირით შენ ჰგმირავ რევოლუციის მტრებს. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შენ, როგორც პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი დიდი პოეტი და გამარჯვებ ლი პროლეტარიატის მგოსანი ყოველთ მაღლა დაიჭერ ლენინ-სტალინის პარტ დროშას და როგორც პოეტი-ბოლშევ შენს შემოქმედებაში მუდამ დარჩები ხალხო ტრიბუნად.

საქართველოს საბჭოთა მწე
ლების კავშირი.

ძვირფასო დემიან!

შენი რევოლუციური შემოქმედებითი მუშაობის ოცდახუთი წლისთავის შესრულების დღეს გიგზავნი ჩემს მგზნებარე სალამს და გისურვებ გამოცდილ მებრძოლ კალმოსანს ახალ პოეტურ გამარჯვებ ჩვენი დიდი სამშობლოს სასახელოდ.

შენი თანამოკალმე **სანდრო ეული**

ლიტერატურული ცხოვრება

ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის სამზადისი

ნ. მიწიშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი კოლექტიურად სწერენ ახალ პოემას თემაზე—„სამშობლო“.

ოქტომბრის ოცი წლისთავისთვის ბევრი ქართველი მწერალი მუშაობს ახალ ნაწარმოებზე. ყოველი მათგანი ცდილობს ღირსშესანიშნავი ახალი რამ დასწეროს ამ დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად.

მწერალთა კავშირის სამდივნო თვალყურს ადევნებს თვითეული მწერლის ამ მუშაობას.

სამდივნოს მორიგ სხდომაზე პოეტებმა ნ. მიწიშვილმა, ტ. ტაბიძემ და ს. ჩიქოვანმა განაცხადეს, რომ ისინი კოლექტიურად იწყებენ მუშაობას დიდ პოემაზე, რომელიც აგებული იქნება საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე. აღნიშნული თხზულება პოეტებს განზრახული აქვთ და რულონ ოქტომბრის 20 წლისთავისთვის.

პოეტებს უკვე შედგენილი აქვთ გეგმ აგროვებენ სათანადო მასალებს. პოემა ი ნება ათას სტრიქონიანი.

ეს მეორე მაგალითია კოლექტიური მ შაობისა ჩვენს ლიტერატურულ პრაქტიკ ში. მწერალთა კავშირის სამდივნომ აღ თქვა მწერლებს ყოველგვარი დახმარე და აღნიშნა, რომ პროლეტარიატის უდ დესი დღესასწაულისათვის მწერლებ ასეთი კოლექტიური მუშაობა საუკეთეს საშუალებაა დიდი მხატვრული ტილოებ შესაქმნელად.

მეტი ინიციატივა

რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულამდის თითქმის ერთი წელიწადი-ღა დარჩა. მრავალი საინტერესო ღონისძიება უკვე ჩატარებული ამ უდიდესი გენიოსის კიდევ უფრო უკვდავსაყოფად, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენია გასაკეთებელი, რომ ეს დარჩენილი დრო მოითხოვს დიდ ენერგიულ მუშაობას, რათა რესპუბლიკური კომიტეტის მიერ დღესასწაულისათვის დასახული მოსამზადებელი გეგმა განხორციელებულ იქნეს.

ჩვენის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ დღესასწაულისათვის ფართო მასების წინასწარ მომზადებას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს რუსეთის საუკეთესო გამოცდილება პუშკინის იუბილესათვის მომზადების საქმეში. მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა სამრეწველო ცენტრების ფაბრიკა-ქარხნებში უკვე დაწყებულია პუშკინის იუბილესათვის სამზადისი. ბიბლიოთეკებს გააქვთ ფართო მასებში პუშკინის წიგნები, იმართება მკითხველთა კონფერენციები, დისპუტები, ცალკეულ წიგნების საჯარო განხილ საუბრებს და მოხსენებებს ატარებენ პუშკინის ცნობილი მკვლევარები, იმართებ პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების დმი მიძღვნილი საღამოები, ეცნობიან პუშკინის დროს, გარემოცვას, რომელშია პოეტს უხდებოდა ცხოვრება და შემო მედებითი მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულის გარშემო მ სიური მუშაობა ვერ არის სათანადოდ გაშლილი.

უსათუოდ აღსანიშნავია ლაგოდეხის მ გალითი. ჩვენი გაზეთის წინა ნომრებ აკმაოდ გავაშუქეთ ეს გამოცდილებ ლაგოდეხის ინიციატივა სხვებმაც უნდ გადაიღონ. ფართოდ უნდა გაიშალოს ს მზადისი შოთა რუსთაველის იუბილეს—ა უდიდესი სახალხო დღესასწაულის შესა ფერად მოსაწყობად.

საქართველოს პროფკავშირებმა და მწ რალთა კავშირის მასიურმა სექტორმა უნ და გამოიჩინონ მეტი თაოსნობა.

კ ა ვ კ ა ს ი

ჩემს გულითად იაკობ დე-ბალმენს

ტარას შევჩენკო

1

ს გადაღმა მოსჩანს მთები, შებურვილი ნისლით,
, სავსე მწუხარებით და მორწყული სისხლით.
აქ არწივი პრომეთეოსს
აწამებს და კორტნის მტრულად.
მუდამ სჯიჯგნის და უმწეოს,
ჩამოსტირის მკერდი წყლულად.
სვავი სვამს, და ველარ ამშრობს,
უშრეტელი სისხლის წყაროს;
გულს ტკივილი ველარ აჭკნობს
და სიცოცხლით ისევ ხარობს.
ასე სცოცხლობს, ხურც ჩაქრობს
სიმართლის ხმა მტრობასიხვისას;
იხარობს და ეპაექრობს. —
ვინ გადახნას ტალღა ზღვისა!
და უკვდავი სული, სიტყვა,
ვინ შებორკოს, თუნდაც გვიან.
როგორ ითქვას გმობა ღვთისა,
თუ ცოცხალთა ღმერთი ჰქვიან.

2

განვსაჯოთ საქმე შენი, შეგისიტყვოთ, შეგეცილოთ,
თო, ჩვენ ხომ ცრემლითა დენადა გვიდება გვერგო წილად,
ლუკმა ცრემლებსა და სისხლის ოფლში უნდა ვზილოთ,
ბედი კი — მთვრალია და უძრავი ჰგდია ძილად.

3

ნეტა როდის გაიღვიძებს მძინარე!
ან და, ღმერთო, როდის გნახო დაღლილი.
დაიძინე, შესდგეს ცრემლის მდინარე,
და წამოდგეს ბორკილებში ჩაყრილი.
გვჯერა, მოხვალ უკვდავი დამარადი,
უძლეველო სულო თავისუფლების,
გვჯერა, მოხვალ ხალხთა ძმობის ძალათი
აზვირთებულ ქალაქთა და სოფლების
და ხალხები, მხიარულ სიმღერებში
შეგხვდებიან დიდებით და გალობით.
დღეს კი — სისხლით აცრემლებულ ერებში
სისხლის ტბები დგას, — მტარვალთა წყალობით.

4

ბს გადაღმა მოსჩანს მთები. შებურვილი ნისლით,
ბი, სავსე მწუხარებით და მორწყული სისხლით.
სწორედ იმ ნისლით შემკულ მთებში შვილები მთისა,
ღარიბ-ღატაკნი, შავს კლდეებში ჩაკარგულები,
გაანადგურეს, აახრეს კურთხევით ღვთისა
და მირონცხებულ გვირგვინოსნის განკარგულებით.
ბევრი სალდათი განწირული დაეცა მთაში,
სისხლი და ცრემლი! ვინ დასთვალოს სისხლი მრავალი!
იმპერატორებს დაათრობდა ის სისხლი მაშინ,
გასივდებოდა სისხლით მისი მთამომავალი,
რომ დამდგარიყო მთის ქალწულთა ცრემლი და მოთქმა—
ჩაიხჩვებოდა შიგ ხელმწიფის ჯიში და მოდგმა.
მოხუც მამების, დედების და ქვრივთა ქვითინი
ცამდე სწვდებოდა. იდგა ყველგან წუხილი მწარე!...
დიდება ყველას ვისი ნებით სისხლმა იდინა,
და ცრემლთა ზღვაში ვინც ჩაახრო ტანჯული მხარე,—
დიდება მეფეებს, მთები რომ ატირეს,
დიდება მწევრებს, მეძებრებსაც და მონადირეს.

5

მთებო,
გმირო ვაჟკაცებო,
თქვენ — დიდება, მთებო.
მაღლებო და წარმტაცებო,
ჭირში უდრეკლებო.
ძალას გმატებთ მადლი ცისა
და თავისუფლება
დღეს ყოველი შვილი მთისა
სიმართლისთვის კვდება
თქვენი საქმე ძნელზე ძნელი
ამით მსუბუქდება,—
იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ,
ვაჟკაცებო
მთებო!

6

მთაო, შენი შრომის ლუკმა და ბარაქა შენი სახლის
ტყვილად არის ურჩქნია, „ჩემიაო“—ეტრფის გახლის.
შენი შრომით შეგიქმნია, არა მთხოვნელს, არცა დახრილს.
და თოვლიან მთების შვილებს ვერ განახვედნენ ციხედ ჩაყრილს.
მაგრამ გითხრეს: ნასწავლი ვართ, უვიცობა ვინ გვაყვედროს,"
ჩვენ ვკითხულობთ საღვთო წერილს, ცაში ღმერთს რომ მეგავედროს
ჩვენმა ქოხმა, ციხემ, ტახტმა როგორ უნდა აგამხედროს, —
ჩვენ ხომ ყველა ოქროსი ვართ და შიშველნი ამავე დროს.
ასეთნი ვართ. მოდი ჩვენთან, განვითარდი, აღორძინდი,
შენ ვაჭრობა შეისწავლე, ბრმა თვალები გადიწმინდე,
ქრისტე ჩვენ გვყავს, სკოლებიცა, საყდრებშიაც არ სდგას ბინდი,
თვით ღმერთიც ხომ ჩვენსკენაა... ნუ თუ კიდევ რამე გინდა?
ამის ნაცვლად ჩვენ გადავასწავლით მხოლოდ კლდეზე მიდგმულ ქოხებს,
რად გჭირდებათ ის ქოხები, და, მთიელო, რა გამბოხებს!?
თქვენი შრომით თუ აგებთ, თუ ისჩვენ არ გვიჩუქნია,—
რა ვქნათ: მჭადის ნატეხიც ხომ ძაღლისათვის სიმსუქნეა.
არ მოხდება, რომ ეს მთები ჩვენს ძალას არ დამორჩილდეს,
და მზის თბილი სხივისათვის ჩვენავიღებთ აქაც ჯილდოს.
ეს გვეყოფა. არ ვართ ბოში, არცთუ ვინმე მაწანწალა —
ჩვენ ვართ ქრისტეს მორჩილები და მოგვიყვება ქრისტეს ძალა.
მცირედითაც მაძღარნი ვართ, მოდით, გულებს გადაგიშლით,
ჩვენს უსაზღვრო მიწაწყალზე ნავარდობას არ დაგიშლით:
გაგატარებთ ციმბირისკენ, ციხეებსაც ნახავთ მრავალს,
ბევრს შეხვდებით თქვენისთანებს, ფართო გზებზე იქით მავალს.
ჩვენი ქვეყნის ეს ღირსება ყველამიცნო, ყველგან უქეს:
აქ ხომ ყველას, ზღვიდან ზღვამდე,პირი მაგრად დაულუქეს.
ფინეთიდან დაწყებული მოლდაველთა მიწა წყლამდე,
ყველა ხარობს, ნეტარობს და მხიარულობს წლიდან წლამდე,
თქვენ კი ისევ ბნელეთში ხართ, ჩვენ აგიყვანთ სპეტაკ ტაძრამდე —
მხოლოდ ქრისტე შეიყვარეთ, მხოლოდ ჯვარი უნდა გწამდეთ.

7

თქვენ გჭირდებათ შველა თავის, —
ჩვენ გასწავლით ძრობას ტყავის,
წაგლეჯას და მითვისებას
ყოველივე გასახრავის.
და რაც უნდა იყოს თქვენში,—
მაინც შეხვალთ სამოთხეში.

8

ჩვენ განათლდით. ეხლაგვინდა
თქვენც გიშველოთ რამე,
რომ სხვა ხალხსაც შუქმა წმინდამ
დღედ უქციოს ღამე.
რომ ააგოთ საპყრობილე
თქვენს მხარეში მრავლად,
სცნოთ, რომ ძნელი არ ყოფილა
ბორკილებში გავლა
და ძმასავით შეწყობილა
მათრახი და სწავლა.
ეს შეიგნეთ. ნუ იდარდებთ.—
დაგემორჩილდით ბარემ,
განათლდით და განვითარდით,
მიხვდეს თქვენი მხარე,
რომ ჩვენ გვინდა თქვენი მთები:
რადგან ვსძლიეთ სხვები:
დანარჩენი სულ ჩვენია —
მინდვრები და ზღვები. —

9

ძვირფასო ძმაო, სასახელო ძმაო იაკობ,
უსათნოესი ფიქრით გულში ამოქარგულო,
კავკასიაში გაწირული დაფორიაქობ,
განუკითხავად სამშობლოდან გადაკარგულო.
შენ მოსკოვური შხამით სავსე შესვი ფიალი,
სამშობლოს ტირანს ვერ აძგერე მკლავი რკინისა,
აღარ გეღირსა ბრძოლები და დროშის ფრიალი
სადიდებელად საყვარელი უკრაინისა.

მაგრამ, ძვირფასო, უკრაინის გაშლილ ველებზე,
აშრიალებდა შენი სული, როგორც ნიავი,
ნახავ კაზაკებს კურგანებთან, წყალთან, მდელოზე, —
ყველგან შესდგები, რომ ალბეჭდოჟამთა სიავე.

იტირებ მაშინ. და რაც გულში ნაღვლი [გ]ქონდა,
კაზაკთა წუხილს შეუერთებს სტეპი მტირალი.
და მაშინ, ძმაო გამიხსენე, მიგულე შენთან —
შენებრ დასჯილი, ნაცემი და ნაცემტირალი.[1]

10

მანამდე კი ფიქრს და სევდას
თვალნი ჩემნი ღვრიან.
მჯერა —იმ ფიქრს დღეს თუ გვიან
ხნულში ამოზრდიან,
და ქარიშხლებს, დღეს რომ ჰქრიან —
თავს არ დაუხრიან.
ის ფიქრები შენსკენ ჰქრიან,
შენსკენ ისწრაფვიან,
ეს ძახილიც შენსკენ მიაქვს
უკრაინის ნიავს.
წაიკითხავ ამ სტრიქონებს,
შიგ ჩანთხეულ სევდას,
ნახავ — გულს თუ რაც მიღონებს,
და რაც თვითონ გვწადდა,
მოიგონებ სტეპს, კურგანებს,
აღსდგებიან მთები,
ძმურად ცრემლებს დააფრქვევ და
მეც მოგაგონდები.

1845

სთარგმნა **ნიკოლო მიწიშვილმა.**

ახალ მკითხველებთან

მიხეილ ჯავახიშვილი

მხატვრული წიგნი კოლმეურნეობაშიაც ღრმად შეიჭრა. თაისნობა ლაგოდეხის რაიონს ეკუთვნის. საზომად თუნდაც ისიც გამოდგება, რომ აქ „მნათობი“ 500 ცალამდე ვრცელდება, „არსენა მარაბდელი“ თითქმის ამდენივე გაყიდულა, ხოლო 30 მანეთიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ 150 კოლმეურნეს შეუძენია. წიგნს ჯგუფად კითხულობენ და შემდეგ წაიკითხს არჩევენ, ნამდვილ სალიტერატურო დისპუტს მართავენ. უკვე წაუკითხავთ (ზოგს ახლა კითხულობენ) პუშკინი, ნეკრასოვი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნინოშვილი და ზოგი თანამედროვე მწერალი.

კოლმეურნეობაში ათიოდე რუსთაველის კომიტეტი დაუარსებიათ. ათი ფრიადოსანი და მრავალი გლეხი „ვეფხისტყაოსანს“ ზეპირად სწავლობს. ოდესღაც ერთ მჭედელს ვიცნობდი, რომელსაც ეს პოემა გაზეპირებული ჰქონდა, ახლა კი ის „მჭედელი“ მასიურ მოვლენად იქცა. პედაგ. ტექნიკუმთან რუსთველის კაბინეტი დაუარსებიათ. შოთას აფორიზმები 2.000 ც. დაუბეჭდიათ და კოლმეურნეთა შორის გაუვრცელებიათ.

ორდენოსან პ. ნაზარაშვილს და მის თანაშემწეს ვ. იმედაძეს მეტად ფართედ მოუქნევიათ ფრთები და ვრცელი სალიტერატურო პროგრამა შეუდგენიათ. წლეულს მხოლოდ კოლმეურნეთა შორის 54 საღამოსაუბარი უნდა გაიმართოს. მოწვეულ არიან მწერლებიც.

პირველი ასეთი საღამო ჩემს „არსენა მარაბდელს“ ერგო. ავტომობილებით ჩამოსულმა კოლმეურნეებმა და მოწაფეებმა კლუბის დარბაზი პირთამდე გაავსეს. გირლანდები, ყვავილები, მუსიკა, ბელადების სურათები, ბალღების მხიარული სახე და მრავალი სხვა რამეც საღამოს საზეიმო იერს აძლევს.

თავმჯდომარემ ვ. იმედაძემ „არსენა მარაბდელი“ ზუსტად დაახასიათა. „მარტო ჩვენს რაიონში ხუთასამდე „არსენა“ გაიყიდა — ამბობს ის. ყველა კოლმეურნემ წაიკითხა ან მოისმინა ეს რომანი. ეს იმას ადასტურებს, თუ რა დიდი ინტერესით კითხულობენ გლეხები მხატვრულ ლიტერატურას“.

შვიდიოდე წლის ბეგაშვილმა გული გამილხო. მას ზოგი ჩემი რომანის და მოთხრობის წაკითხვა აუკრძალეს. ამის გამო ის თავის ტოლ-ამხანაგების სახელით მთხოვს საბავშვო რამე დავუწერო მათ.

პ. ტყემალაძე მოხსენებას კითხულობს. გამოდიან მსხილაძე, ბალაშვილი, ჭაპაშვილი, ბაძგარაძე, ყაველაშვილი, ნარეკლიშვილი, კახეთელაძე, ქათამაძე და სხვ. ზოგ კოლმეურნეს ჩემი რომანი მოუტანია, ციტატებს მიკითხავენ, მედავებიან და უამრავ კითხვას მაყრიან.

დაწვრილებით გავეცი პასუხი ახალ მკითხველს, რომელსაც ჩემი ხანგრძლივი სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის მანძილზე თითქმის პირველად შევხვდი პირისპირ. ის იმდენად გაზრდილა, რომ ველარ ვიცანი.

მუშებში, მკითხველთა კერძო წერილებში და აქაც ერთსა და იმავე მოვლენას ვხვდები: მათ დაჟინებით უნდათ, რომ არსენა უფრო მტკიცე, უფრო დაუნდობელი და უფრო მედგარი მებრძოლი ყოფილიყო, რომ მისთვის ის რაინდული ხასიათი ჩამომეცილებინა, რომელმაც დაღუპა არსენაც და მისი საქმეც.

პასუხად მე არსენას უსისხლო ბიოგრაფიას და რომანის მეორე გმირს, შეუდრეკელ ლაცაბიძეს ვასახელებ, რომელიც სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს მკითხველს. გარდა ამისა, — ვეკითხები ხოლმე მათ, — რას მოიგებს რომანი, თუ არსენას ხასიათს ლაცაბიძეს მივაკუთვნებ, ხოლო ლაცაბიძის ხასიათს არსენას მივაწერ? მგონი არაფერს.

მაგრამ არა, მკითხველი არ მითმობს. ის სწორედ იმას მოითხოვს. ის ლაცაბიძეს არ იცნობს და დაჟინებით მოითხოვს, რომ მისმა საყვარელმა არსენამ ყარამანისებური „საქმენი საგმირონი“ ჩაიდინოს და თითქმის ანგარიშს არ უწევს ისტორიას, რომელიც მე გმირის ასამაღლებლად ისედაც საკმაოდ გარდავქმენი. ესეც არა კმარა. მკითხველს სწყინს, რომ მისი გმირი კუჭატნელს მოვაკვლევინე. მას უნდა, რომ საქმე პირუკულმა დამეტრიალებინა ან, ყოველ შემთხვევაში, არსენა ცოცხალი დამეტოვებინა (გმირის უკვდავების პრობლემა). უდიდესი ფსიქოლოგიური სიმართლე უდევს საფუძვლად იმ ლეგენდას, რომელმაც არსენა თურქეთში გადაიყვანა და დატანჯული გლეხობა გმირის დაბრუნების იმედით დასტოვა.

იმ საღამოს დიდი სიხარული ვიგრძენი. მწერალთა სასახლეში გამართულ დისპუტების დროს სიმართლეს ზოგი რამ უცხო, ზოგი რამ პირადული დაერთვის ხოლმე. აქ კი მხოლოდ გულწრფელობა და უშუალობა სუფევდა, რომელსაც ზოგი მწერალი სულ გადაეჩვია, ზოგი კი ჯერაც ვერ შეეჩვია.

სინათლე და ხალხურობა მშვენიერი ახალი ლოზუნგია. საჭიროა მას მხატვრული ხორცი შევასხათ, ამისთვის კი ხშირად უნდა შევხვდეთ ხოლმე მუშებსა და კოლმეურნე გლეხებს.

იმ საღამოს მე ერთხელ კიდევ ვიყავი მშრომელ ხალხში. საბჭოთა გუთანს ლაგოდეხიც ღრმად გადაუხნავს.

მეტი სიღრმე, იდეურობა, ოსტატობა

გ. ჟღენტი

ჟურნალ „მნათობის“ სამ უკანასკნელ წიგნში (№ № მე-11-12, 1, 2) მოქვეყნებული პოეტური მასალა საფუძველს გვაძლევს კიდევ ერთხელ მთელი სიმახვილით დავაყენოთ საბჭოთა პოეზიის იდეური მიზანსახულობის, შემოქმედებითი მასალისადმი ღრმა მიდგომისა და მაღალი პოეტური ოსტატობის საკითხი.

ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მიაღწია თავისი ზრდისა და განმტკიცების იმ საფეხურს, როდესაც მას შეუძლია არ დაფრთხეს ამ მოთხოვნების წინაშე და ახალი შემოქმედებითი მიღწევებით უპასუხოს მკითხველი მასების გაზრდილ იდეურ-ესტეტიკურ მოთხოვნილებებს. ამ გარემოების საუკეთესო საბუთს წარმოადგენს ჟურნალ „მნათობი“-ს № 2-ში გამოქვეყნებული „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“, რომელიც ლექსად გამოთქმულია პოეტების პ. შველის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის და ა. მაშაშვილის მიერ.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა კოლექტიური პოეტური მუშაობისა, და დაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რომ ამ დოკუმენტის პოლიტიკურ-ლიტერატურული მნიშვნელობა უაღრესად ისტორიული ხასიათისაა. მასში ეპიური სიღრმით, მკვეთრ პოეტურ სახეებში გამოხატულია საქართველოს მშრომელი ხალხის დევნის და წამების ისტორია, ყოველი ჯურის დამპყრობელთა და ექსპლოატატორთა ვერაგობა, ხალხის გაუტეხელი მებრძოლი ნებისყოფა და აუვდადებული სწრაფვა ახალი თავისუფალი ცხოვრებისაკენ.

ასეთივე მკაფიო საღებავებითა და ემოციური დაძაბულობით მოგვითხრობს ეს დოკუმენტი მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და მის მიერ ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გრანდიოზულ ეპოპეას. აღსანიშნავია, რომ ეს ეპოპეა ემყარება სინამდვილის კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ახალ მხატვრულ პოეტურ სახეებში განსხეულებული და განზოგადოებული ეპიურ სიმაღლემდე არიან აყვანილნი. მთელი ნაწარმოების მაგისტრალურ ხაზს წარმოადგენს რელიეფურად გამოკვეთილი იდეა: გვიჩვენებს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელი როლი მასების განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, განუყალდევიხოს ის უდიდესი სიყვარული, რომლითაც გამსჭვალულია მშრომელი ხალხის

აზრი და გრძნობა უდიდესი ბელადისა და მასწავლებლის ამხ. **სტალინის მიმართ.**

ამ დოკუმენტის დონე და ღირებულება ავალებს საერთოდ ჩვენი პოეზიის კოლექტივს, კერძოდ ყოველ პოეტს, რომ კონკრეტულ შემოქმედებითი მუშაობის პროცესში უკუგდებულ იქნას გაუბრალოება და მდარე სიმარტივე, ლექსის იდეურ დანიშნულებისადმი უყურადღებობა და მხატვრული ფორმისა და ოსტატობისადმი უდარდელი დამოკიდებულება.

ჟურნალ „მნათობის“ სარეცენზიო ნომრებში გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი მოწმობს, რომ ჩვენი საბჭოთა პოეტების, და ზოგიერთ საუკეთესო პოეტის მიერ, ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ სათანადოდ შეთვისებული არ არის.

ჩვენ განზრახ შევჩერდებით იმ პოეტების ლექსებზე, რომლებისგანაც განსაკუთრებით მეტს მოელის და მოითხოვს ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობა. აი, მაგალითად, ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილის ლექსი „წლები“. ეს ლექსი წარმოადგენს არა სწორი შემოქმედებითი მუშაობის იმ შედეგს, როცა პოეტი ლექსად აყალიბებს თავის წუთიერ, შემთხვევით განწყობილებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს განწყობილება სრულიადაც არ შეესაბამება პოეტის საერთო იდეურ კონცეპციას და მის ძირითად შემოქმედებითს ხაზს. ამ ლექსში დარღვეულია შინაგანი იდეური მთლიანობა, ლექსი იწყება ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმის განწყობილებით, რომლითაც პოეტი ეგებება ახალი წლის მოსვლას, მაგრამ სრულიად დაუსაბუთებლად ლექსი გადადის ნაღვლიან და სევდიან ტონებში:

„თუმცა ბავშვობამ ადრე
დაგვტოვა,
მოვხრილვართ სიბრძეს
დაწაფებული.
წასულა ჩვენი ახალგაზრდობაც,
ერთ დროს ულევშებამწვანებული!
წასულა, აღარ დაბრუნებულა,
ქარს გაჰყოლია, როგორც თოლია,
დაზამთრებულა და უნებურად
თავზე ჭალარას დაუთოვლია“.

საიდან არის ეს ნაავდრევი დაბეჩავება, დაუბრუნებლად წასული ახალგაზრდობის დატირების ნიადაგზე აღმოცენებული დაცემულობის განწყობილება? რა აქვს საერთო მას პროლეტარული პოეტის ალიო მაშაშვილის იდეურ პოზიციებთან? ლექსი თავდება ასეთი სტრიქონებით:

„აი, ძარღვებიც ყლერენ, ფეთქავენ.
სავსეა გული, მთვრალი ვართ
ლხენით,
რა იშვიათად ვხვდებით
ერთმანეთს,
რა უდარდელად მიდიან დღენი“.

ცხადია, ლხენით თრობისა და უდარდელობის ეს ფილოსოფიაც ავაებით შეუთავსებელია ჩვენი სოციალისტური ლირიკის მაგისტრალურ ხაზთან.

სოციალისტური რეალიზმის ლირიკა არამც თუ არ უარყოფს, არამედ უეჭველად გულისხმობს პოეტის განწყობილებების, განცდებისა და გრძნობების ჩამოყალიბებას პოეტურ ნაწარმოებში. მაგრამ პოეტის არა ყოველგვარი წუთიერი განწყობილება, გამოწვეული რაიმე შემთხვევითი გარემოებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ იდეურ-ესტეტიურ გადამუშავების ობიექტად.

„მნათობის“ პირველ №-ში დაბეჭდილია პოეტ გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი. გარკვევით უნდა ითქვას, რომ „ტფილისის განთიადები“ და „წვიმა შავ ზღვაზე“ დამოუკიდებელი არიან იმ ჯანსაღ შემოქმედებითიაზს, რომელიც მკაფიოდ გამოსჩანს გ. ლეონიძის უკანასკნელი პერიოდის მუშაობაში და რომლის მეოხებითაც ამ პოეტმა სამართლიანად დაიმსახურა მკითხველი მასების ყურადღება. „ტფილისის განთიადები“ უმთავრესად ეგზოტიურ მოტივებზეა აგებული. მართალია, ლექსის უკანასკნელ ნაწილში პოეტი ზოგჯერ უეჭველად ძლიერი და დამაჯერებელი პოეტური საშუალებებით გადმოგვცემს ჩვენს სოციალისტურ დედაქალაქში გაჩაღებული შემოქმედებითი ცხოვრების განცდას, მაგრამ ძირითადად, ეს ლექსი ასეთ ეგზოტიურ-დეკორატიულ მოტივებს ემყარება:

„აქ ყველა ბიჭი საზანდრობს,
ყველა ჰკვეხს წინაპარითა, —
გულამოჭრილი საზამთრო
შეთოვანათებს პარეითა“.

ან კიდევ:

„ქამუეთს ფერი დაჰკრავდა,
ვარსკვლავი სხივზე თბებოდა,
ცილა დაღვრილი ვარსკვლავთა
ქამუეთს ეწებებოდა“.

ცივი, ინდიფერენტული საღებავებითაა დახატული ზღვის ამღელვარების სტიქიური სურათი ლექსში „წვიმა შავ ზღვაზე“. ლექსში არ არის არავითარი იდეური მომენტი. ამიტომაც იგი ბუნების განყენებულ მხატვრობას წარმოადგენს, რომელსაც არ შეუძლია მკითხველზე რაიმე ემოციური გავლენა იქონიოს. ლეონიძის პოეტური ევოლუციისათვის რა მნიშვნელობა უნდა ექნეს ასეთ სტრიქონებს:

„ჰგავდა შურისძიებას,
ზღვა არ იყო ჭკუაზე,
თითქოს იგი მიებათ
დამფრთხალ ცხენის ძუაზე“.

და შემდეგ:

„ცა დაგაზა, მოწყელა,
ღდის ხსენი აგინა,
ცამ აილო ორწილად,
სფერო ჩაინადირა“.

აქ ლექსის იდეური სიცარიელე იწვევს მხატვრულ საშუალებათა სიღარიბესაც. ცხადია, საბჭოთა ლირიკა ვერ ასცდება პეიზაჟს, ბუნების მხატვრობას, მაგრამ სოციალური აზრის და იდეურ მიზანდასახულებას მოკლებული პეიზაჟი ვერ გაამდიდრებს საბჭოთა პოეტის შემოქმედების ბუნებას.

ქართული საბჭოთა პოეზიის შინაარს უკანასკნელ ხანებში თავისებურ მიმართულებას აძლევს სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი და საამური ცხოვრება. ცხადია, სოციალისტურმა ლირიკამ უნდა გამოხატოს მშრომელი ხალხის ის სასიხარულო გრძნობები, რომლებიც სოციალიზმის ძლევამოსილებით არის გამოწვეული. მაგრამ იბადება ერთი საშიშროებაც. ზოგიერთი პოეტი ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების გამოსახატავად ქმნის იდილიურ პეიზაჟებს და ლექსებში ანვითარებს უდარდელობისა და უზრუნველობის განწყობილებებს. ასეთი ლექსები არამც თუ არ აძლიერებენ, არამედ ანელებენ კიდეც მკითხველი მასების საბრძოლო ენთუზიაზმს. ასეთი საშიშროების წინაშე სდგას პოეტი გ. კაჭახიძე, თავისი უკანასკნელი ლექსებით („დაბრუნება“ და „საბჭოთა საქართველოში“), გეგონებით შესრულებულს ამ ლექსებში ნიჭიერი პოეტი იძლევა გარეძიცვის ისეთ ალერსიანობას, რომელიც მოკლებულია რაიმე პრობლემურ სიღრმეს და იდეურ სიმახვილეს. ამ ლექსებში პირადი, ინტიმური განცდა გამოთიშულია სოციალურ მიზანმისწრაფებას.

შემოქმედებითი ობიექტისადმი ზედაპირული მიდგომის მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს გრიგოლ ცეცხლაძის ლექსები საერთო სათაურით „გონიო“. გრ. ცეცხლაძემ უკანასკნელ ხანში ჩვენი სოციალიზმის სინამდვილის კონკრეტულ მასალებზე დაიწყო მუშაობა. მაგრამ უკომენტაროდაც ცხადია, რომ ჩვენი გმირული სინამდვილის, უმაგალითო შრომისა და მშენებლობის ეპოქის გამოსახატავად არ გამოდგება ასეთი პოეზია:

„ტირილის დრო წავიდა,
დრო დადგა სიმღერების,
ახლა დროა მშრომელთა —
მათი ბედნიერების.
აქ ჰაერი ნაზია,
აქ ჰაერი თბილია,
და როგორც ფანტაზია,
აქ ცხოვრებაც ტკბილია“.

ეს მეტისმეტად გაიოლებული და გამარტივებული გზა არის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სოციალისტური ლირიკის სისადავესა და ხალხურობასთან. ეს უფრო უდარდელი „ლილინია“, ვიდრე ჩვენი დიდი სოციალისტური სინამდვილის გამომხატველი პოეტური სიმღერა.

პოეზიის ხალხურობის პრობლემის არა სწორი და გაუბრალოებული გაგების ნიმუშს წარმოადგენს გიორგი ქუჩიშვილის ლექსი „საბჭოთა საქართველოს“. პოეტს მზამზარეულად გადმოაქვს ხალხური სასიმღერო მოტივები და მტკაპად ქცეულ ფორმაში აყალიბებს თავის მხატვრულ იდეას:

„ლალე, ლალე,
დიველი დალალე.
გახალებულო სამშობლოვ,
შენ კი გენაცვალე!

ხალხური მოტივების ასეთ პასიურ იმიტაციას სრულიადაც არ გულისხმობს სოციალისტური ლირიკის ხალხურობის ცნება. გასაგებია, რომ ამგვარი ენით არ შეიძლება ელაპარაკოს პოეზია კულტურულად გაზრდილ მკითხველ მასებს. საბჭოთა პოეზიის ხალხურობა გულისხმობს რთულ და აქტიურ შემოქმედებით პროცესს. ხალხური პოეზიის გამოყენების მისაბაძ მაგალითებს ვხვდებით ჩვენი კლასიკოსების — ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, რომლებიც არასოდეს არ დასულან ფოლკლორული მოტივების გაიოლებულ გადამღერებამდე.

როდესაც პოეტური ფორმისა და ოსტატობისადმი უდარდელ დამოკიდებულების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს აგრეთვე პეტრე სამსონიძის ლექსი „შემოძახილი განთიადებზე“. როგორც საერთოდ პ. სამსონიძის უკანასკნელი პერიოდის ლექსები, ისე კერძოდ ეს ნაწარმოებიც გარკვეული იდეური მთლიანობით ხასიათდება. ლექსში მოცემულია წრფელი ლირიკული აზრი და ზოგჯერ ავტორი უეჭველად აღწევს ემოციურ სიმძაფრეს. ყოველივე ეს საერთოდ პ. სამსონიძის და კერძოდ დასახელებული ლექსის უეჭველი ღირსებაა. მაგრამ პ. სამსონიძე ზოგჯერ დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენს ლექსის ტექნიკისა და პოეტური ფორმისადმი. ვხვდებით ელემენტარულ კანონების დარღვევას, პოეტური სახის აშენების შეუსაბამობას, სინტაქსის, ზოგჯერ გრამატიკის ნორმების უგულებელყოფასაც. აი, მაგალითად:

„პირველად ვიგრძენ: სოფლის
გაცნობამ
გული გაკაწრა ბასრი
კლანჭებით:
ძედროინდელი ავი-კაცობა
იყო ცხოვრების მესაჭეები“.

აქ უკვე პოეტი ელემენტარულ გრამატიკულ ნორმებსაც გვერდს უხვევს. აი ამ ნორმების უგულებელყოფის კიდევ უფრო მკაფიო მაგალითი:

„ან სად სმენილა კაცს პატიოსანს
თავი მოეხრას მტარვალობის წინ“.

რას ნიშნავს ეს „თავი მოეხრას“ საბჭოთა პოეტს არა აქვს უფლება ასე უდიერად მოეპყრას ენის ელემენტარულ კანონებს, რომ არ ვილაპარაკოთ მხატვრული სტილის შესახებ. პ. სამსონიძემ მეტი პასუხისმგებლობით უნდა დაამუშაოს ლექსის ყოველი დეტალი, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს რითმას, ლექსის მუსიკალურ აღნაგობას, სინტაქსურ წყობას და პოეტურ სახეთა ლოგიურ მთლიანობას.

ლექსის იდეური დატვირთულობით, მოფიქრებული დამუშავებით და აზროვნების სიმახვილით გამოირჩევა ვ. გაფრინდაშვილის „ოცნება ბელადზე“ და ირ. აბაშიძის „ყვავილები ქალაქში“. ვალერიან გაფრინდაშვილი გულწრფელი განცდით, ნათელი სახეებით და მკვეთრი პოეტური ფრაზით გამოხატავს საკუთარ პოეტურ გრძნობებს ხალხთა დიდი ბელადისადმი:

„ბელადის სიტყვის გაომძახილი
მომცა ქალაქმა თავის ხმაურით.
დღეს ფრთაშესხმული მისი სახელი
ბაირაღია და მეთაური“.

და შემდეგ:

„მისი სახელით უმღერის ნანას
დედა აკვანში პირმშოს ალერსით,
რიტმს აძლევს იგი ყოველ
ქარხანას,
როგორც ლოტბარი
უმხურვალესი“.

პოეტური აზრის სისაღით და ორიგინალური ინტერპრეტაციით ხასიათდება აბაშიძის „ყვავილები ქალაქში“. მაგრამ ამ მრავალმხრივად საყურადღებო ლექსშიც, სამწუხაროდ, ვხვდებით დაუმუშავებელ და სრულიად გაუგებარ სტრიქონებს:

„მგოსნის ხალხს სურდეს — მაშინ
ფრიალში
იდიდოს ვარდნი და მიმოზანიც;
მგოსნის ხალხს სურდეს —
როგორც ტყვიაში
უნდა ვარდებშიც მოკვდეს
მგოსანი“.

რაც შეეხება გალ. ტაბიძის ლექსს „განახლებულ ქვეყანაზე“, უნდა ითქვას, რომ იგი დაუმუშავებელ მასალის შთაბეჭდილებას სტოვებს, დიდი ოსტატი გალ. ტაბიძე ამ ლექსში ვერ გვაძლევს სინამდვილის კონკრეტულ გამოხატულებას.

პოეზიის სოციალისტური ხარისხისათვის ბრძოლის დღევანდელ ეტაპზე ყოველი საბჭოთა პოეტისაგან უნდა მოვითხოვოთ მეტი სიღრმე, მეტი იდეური სიმახვილე, პოეტური ფორმის მეტი სიახლე და სიმკვეთრე.

---

[1] სტრ. 21. „შენ მოსკოვური შხამით“ და ა. შ.

ლიტ. საქართველო

სამი შეხვედრა ილიასთან

არჩილ ჯაჯანაშვილი

1.

ყოფილ ქართულ გიმნაზიაში აღზრდილი მოწაფეები კლასიკოსებს და მათ შორის, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძესაც, უფრო კარგად იცნობდნენ, ვიდრე დახარჩენი სასწავლებლების ნახევრად გარუსებული მოსწავლენი. ამიტომ, როცა ერთ სადღესასწაულო დღეს გამოგვიცხადეს, სალიტერატურო საღამოს ილია ჭავჭავაძეც დაესწრებაო, ეს ჩვენ, პატარა ბავშვებს, მიუწვდომელი ოცნების განხორციელებად გვეჩვენა. დიდი სამზადისი დაიწყო. მე მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბავშვი ვიყავი და მოსამზადებელი კლასის უკანონო წევრად ვითვლებოდი. არ ვიცი, რატომ, — მამაჩემის პატივსაცემად თუ (მამაჩემი იმ დროს ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო), — მეც ჩამაბეს ფერხულში და წასაკითხავად ილიას ცნობილი ლექსი „გაზაფხული" აღმითქვეს. პატარა ლექსის დაზეპირება ექვსი წლის ბავშვისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო, და ყველა დარწმუნებული იყო, რომ დიდი პოეტის წინაშე თავს არ შევირცხვენდი.

იმ დღემდე ილია ჭავჭავაძე არ მენახა. პროგრამა ჩვეულებისამებრ პატარა ბავშვების გამოსვლით დაიწყო. სადღესასწაულო საღამო მე უნდა გამეხსნა. ესტრადაზე გამოსვლამდე მასწავლებელმა (არისტო ქუთათელაძემ) ჭუჭრუტანაში გამახედა და მითხრა, აგერ, ილია ჭავჭავაძე ის არის, პირველ რიგში რომ ზის, დაბალი, მსუქანი, წითური კაციო. თვალები პარტერს მივაცეცე და, მართლაც ილია ჭავჭავაძე დავინახე. ხელები მუხლებზე დაეწყო და ესტრადას შემოსცქეროდა. ღელვამ ამიტაცა. მუხლები ამიკანკალდა, თვალები ამიჭრელდა. დამფრთხალ ხბოსავით უკან დავიწიე, მაგრამ სწორედ იმ დროს ვიღაცამ წელში ხელი წამავლო და წინ გამაგდო...

შუა ესტრადაზე გავჩნდი. უზარმაზარ, ხალხით გაჭედილ დარბაზში ვეღარაფერს ვხედავდი—ილია ჭავჭავაძის რგვალი სახისა და მუხლებზე გადმოწყობილი თითების მეტსა. „დაიწყე". — მომესმა ზურგს უკან მასწავლებლის ნერვიული ბრძანება. მეც დავიწყე:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,"...

ვსთქვი და გავჩუმდი. დამავიწყდა „აგერ მერცხალიც ჭყივის... აგერ მერცხალიც ჭყივის". — ვიმეორებდი ერთსა და იმავე ფრაზას და ვგრძნობდი, რომ მალე ცრემლები წამომსკდებოდა. „ჭყივის... ჭყივის... ჭყივის", ავიჩემე ეხლა მეორე სტრიქონის ეს უკანასკნელი სიტყვა და უცბად ბღავილი დავიწყე. ვდგევარ, შეშინებული თვალებით ილია ჭავჭავაძეს შევსცქერი, ვსლუკუნებ და სახელოთი ცრემლებს ვიწმენდ...

უცბად დარბაზში რაღაც საშინელი ამბავი დატრიალდა, ყოველ შემთხვევაში მე მაშინ ისე მომეჩვენა, თითქოს კედლებმა და ჭერმა ზანზარი დაიწყო და საცაა გრუხუნით თავზე დამეცემა-მეთქი. თურმე, მაყურებლები მარცხის სიმძიმის ასატანად და სანუგეშებლად ტაშით მეგებებოდნენ. ვერ გავიგე, ესტრადიდან ვინ გამიყვანა ან როგორ გამიყვანეს. ეს კი მახსოვს, ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მასწავლებელი მოვიდა და ალერსიანად მითხრა, აბა, წამოდი, ილია ჭავჭავაძეს შენი ნახვა სურსო.

შემეშინდა. ისევ სლუკუნი დავიწყე, მასწავლებლის მკლავში ვწვდი, არ მინდა, მასწავლებელო, მეშინიან-მეთქი. რისა გეშინიან, შე სულელო, ილია ჭავჭავაძეს შენთვის საჩუქარი აქვს დამზადებულიო. ადგილიდან მაინც ვერ დამძრეს, სანამ მამაჩემმა თავისი მშობლიური უფლებები არ მოიმარჯვა და მკვახედ არ შემომიტია.

პოეტთან რომ მიმიყვანეს, მთლად ვცახცახებდი. ილიამ შუბლზე ხელი გადამისვა და თავისი თხზულებების კრებული გამომიწოდა. შუაში რაღაც იდო, წიგნი ეჭვიანად გადავშალე, შოკოლადი ყოფილიყო. „მაშ, ეგრე, შვილო, ჭყივის, განა?". — ჩამეკითხა ილია და გაიღიმა... იმ დროს როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს ღიმილი არც თუ მაინც და მაინც სასიამოვნო მოგონებით იქნებოდა გამოწვეული. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ „გაზაფხული"-ს სწორედ ეს საბედისწერო „მერცხალი ჭყივის", რომელზედაც ჩემმა მარცხმა მთელი აუდიტორიის ყურადღება შეაჩერა, პოლემიკის საგნად იყო გადაქცეული. ძველი თაობის პოეტი-ქალი ბარბარე ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძეს ბევრს რამეს უკიჟინებდა და, სხვათა შორის, იმასაც ეუბნებოდა, მერცხლის ჭყივილი ვის გაუგონიაო, ღორი ხომ არ არისო. პოეტი-ქალის კრიტიკამ ილია ჭავჭავაძე აიძულა მოებოდიშა: „მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ-ქალსა, — ეგ მერცხლის ჭყივილზედ. მართალიც არის, სწორედ უხერხოდ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული; მაგრამ ეგ ლექსის აზრს არ აბნელებს, რადგანაც „მერცხალიც აგერ ჭყივის"-მეთქი, მოვიყვანე „გაზაფხულის" ნიშნად და ამისთვის ჭიკჭიკი მეთქო, თუ ჭყივილი, მაინც ის აზრი არ მოიშლებოდა... თუმცა სწორედ რომა თქვას კაცმა, მარტო ღორი არ მოაგონდებოდა მაგ ზმნით კაცსა: რამდენჯერ გავიგია. „ფრინველი ჭყივისო. ყმაწვილს ნუ აჭყივლებთო".

2.

1905 წელია, რევოლუციის ეპოქა, მძლავრი იერიში, რომელმაც საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობის საფუძვლები. ამ უდიდესი ეპოქის რევოლუციური მაჯისცემა ცხოვრების მიყრუებულ კუნჭულებშიც-კი ფეთქავდა. და აი, ახალმა სიომ იმ დროის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც დაჰბერა. პატარა დაწესებულების პაწაწკინტელა საქმე იყო: გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე, ერთი წლის შემდეგ კაზაკების მიერ მოკლული იმავე გიმნაზიაში, საზოგადოების წინაშე წარსდგა პროექტით პედაგოგიურ საბჭოს ავტონომიის შესახებ. ეხლანდელი ახალგაზრდა მკითხველი ვერც კი გაიგებს, რაზეა აქ ლაპარაკი. საჭიროა მცირე განმარტება. სათავად-აზნაურო გიმნაზიას თავადაზნაურობა ინახავდა თავისი საერთო რესურსებიდან, რომელთა შორის უდიდესი ადგილი საადგილმამულო ბანკის ყოველწლიურ მოგებას ეჭირა, მაგრამ ფორმალურად მაინც განსაკუთრებული საზოგადოება არსებობდა. ეს საზოგადოება ირჩევდა ეგრეთწოდებული ზედამხედველ კომიტეტს, რომელიც სასწავლებელს განაგებდა. ზედამხედველი კომიტეტის წევრები ხშირად სამეურნეო მოღვაწეობით არა კმაყოფილდებოდნენ და პედაგოგიურ საქმეებშიც ერეოდნენ, თუმცა ამისთვის ხშირად არც მომზადება ჰქონდათ და არც უნარი. შიო ჩიტაძემ ამ მდგომარეობის მოსპობა მოისურვა და მოითხოვა პედაგოგიური საბჭოს ავტონომია... ზედამხედველი კომიტეტისაგან.

გიმნაზიის დიდ დარბაზში თათბირი გაიმართა. შიო ჩიტაძემ მოხსენება დაამთავრა, ერთმა — ორმა თავისი აზრი გამოსთქვა. სწორედ ამ დროს დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ილია ჭავჭავაძემ მორიგ ორატორს მოუსმინა და სიტყვა ითხოვა. ყველა სმენად გადაიქცა. უსმენდნენ და ცოტა არ იყოს უკვირდათ. ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ზოგი-კი გაკვირვების ნიშნად მხრებს იჩეჩდა. ილია ჭავჭავაძემ შორიდან დაიწყო, შემდეგ 1905 წლის რევოლუციური ამბების მნიშვნელობას შეეხო და ავტორიტეტული კილოთი დასძინა, პედაგოგიური საბჭოს ავტონომიის მოთხოვნა რას მიქვიან, ჩვენ საქართველოს ავტონომია უნდა მოვითხოვოთო. საზოგადოება და, ყველაზე მეტად, მომხსენებელი შიო ჩიტაძე უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ხალხი პაწაწკინტელა შინაური საქმისთვის იყო მოწვეული და ილია ჭავჭავაძემ-კი პოლიტიკური საკითხი წამოაყენა, შიო ჩიტაძემ დიდის მოკრძალებით განუმარტა ილიას, ამ თათბირზე მხოლოდ ერთი პატარა საკითხი ირჩევა, თუმცა რასაკვირველია, კრებას შეუძლიან თავის რეზოლუციაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაც ჩაურთოსო. ილია ჭავჭავაძე მიხვდა, რომ მის სიტყვას მისამართი შეეშალა, წამოწითლდა კიდეც, ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და კრების დამთავრებამდე წავიდა..

3.

1906 წ. უკვე რეაქციის პირველი ნიშნები გამოჩნდა. დამფრთხალი მთავრობა ძალებს იკრებდა. აჩუნდა ჩვენებური თავადაზნაურობაც, ყველამ ძალიან კარგად იცის, რა როლი ძეასრულა 1905 წელს სხვადასხვა ადგილებში შექმნილმა წითელმა რაზმებმა. ქართლ-კახეთში აგრარული ტერორი მძვინვარებდა. შეშინებული მემამულეები თავიანთ საბუდრეებიდან გამორბოდნენ და თავს ტფილისს აფარებდნენ. 1905 წელს ტფილისში ჩამოხიზნული თავადაზნაურობა უმეტეს ხროვას წარმოადგენდა. 1906 წელს-კი პოლიტიკური ატმოსფერის შეცვლა იმათაც იგრძნეს და კონტრიერიშისთვის დარაზმვა დაიწყეს. თავადაზნაურობას, რასაკვირველია, თავისი მამულ-დედული და ფიზიკური არსებობის საკითხი აინტერესებდა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც სურდათ გაშიშვლებული კლასიურ-წოდებრივი ზრახვები რაიმე თვალებსახვევი სამოსელით დაეფარათ. ცნობილი აბდუშელიშვილის შავ რაზმს, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ ბოძებული ვინტოვკებით იყო შეიარაღებული. თავისი „იდეოლოგიც" გამოუჩნდა. ეს იდეოლოგი იყო მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. მაჩაბელი ცდილობდა საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა რომ აბდუშელიშვილის რაზმი რაღაც პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და რომ რაზმი საჭიროა შეიარაღებისთვისო.

ამ საკითხის შესახებ დიდი თათბირი გაიმართა თავადაზნაურების დეპუტატთა საკრებულოში. თავმჯდომარეობდა თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) კამერ-იუნკერი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი. მიხეილ მაჩაბელმა ის იყო დაამთავრა შავი რაზმის აპოლოგია, რომ უკანა რიგებში, სადაც „უცენზო" საზოგადოება შეჯგუფებულიყო, ჩოჩქოლი დაიწყო. ხალხი ორად გაიყო და გზა დაუთმო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დინჯად პირველ რიგებისკენ გაემართა და მძიმედ სავარძელში ჩაეშვა. ეხლაც დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მორიგ ორატორს. „უარს ვამბობ", გაისმა კუნჭულიდან. მიუბრუნდა მეორეს — უარს ვაცხადებ, იყო პასუხი. ლაპარაკი აღარავინ მოისურვა. მაშინ სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ითხოვა...

მას შემდეგ ბევრჯელ ვცადე, მაგრამ ვერსად ამ სიტყვის ჩანაწერის კვალსაც-კი ვერ მივაგნე. სიტყვა-კი საყურადღებო იყო. ამ სიტყვაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის დასრულებული, მთლიანი პიროვნება „ოთარაანთ ქვრივი"-ს ავტორი და „ჩატეხილი ხიდი"-თ დასევდიანებული ილია აქ, ამ სიტყვაში, მთელი თავისი ინდივიდუალობით გამოჩნდა. სიტყვის სტენოგრაფიული სისწორით აღდგენა, რასაკვირველია, აღარ შემიძლიან, მაგრამ აზრისა და ზოგ შემთხვევაში ცალკე წინადადებათა სისწორეშიც სრულს პასუხს ვაგებ. ილია ჭავჭავაძისთვის, 1905 წლის რევოლუცია მხოლოდ გარდამავალი ისტორიული ეპიზოდი იყო, ქარტეხილი, რომელიც მალე გადაივლიდა და ცხოვრება ისევ „ნორმალურ", ე. ი. რევოლუციის წინადროინდელ კალაპოტში ჩადგებოდა. ამ ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობდა ილიას პრაქტიკული დასკვნებიც.

აი, რა სთქვა მაშინ ილიამ: „ბატონებო! რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავადაზნაურობას ბევრი აქვს მოცემული; ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ. მე ვხედავ თქვენს გაჭირვებას, მაგრამ,— რას იზამთ, — უნდა მოითმინოთ, ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ,რომ, როდესაც ეს ამბები გადაივლის და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ველარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი გააცალოს. ცოტახნით გაჭირება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხიათ! ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისთვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგად"!.

„უცენზო" საზოგადოება სიტყვას ტაშით შეხვდა. „ცენზიანებს" გუნება გაუფუჭდათ. შავი რაზმის „იდეოლოგი" მიხეილ მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძის ძველი მეტოქე, სკამზე მოუსვენრად ტოკავდა, მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო: ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ აბდუშელიშვილის რაზმმა ველარ იბოგინა...

სად ხარ ბედო?

ტარას შევჩენკო.

მიჰქრის დღე და ღამეც მიჰქრის,
და ზაფხული მიდის, გმინავს,
მშრალ ფოთლებში, კვდება ფიქრი,
გულს და თვალებს ერთად სძინავთ.

ირგვლივ ძილი, და არ ვიცი,
ვარსებობ თუ ვკვდები მწირი.
მე ხომ ქვეყნად ვეხეტები,
არ ვიცინი და არც ვტირი.

სად ხარ ბედო, სად ხარ ბედო?
არად მაგდებ გულით ხმიერს.
კარგი თუ ვერ გაიმეტე,
შხამი მაინც დაანთხიე.

ძილს ნუღარ მოგვრი მიმავალს,
გულს ნუ ჩაუკლავ, იცანი.
ნუღარ დამაგდებ იავარ,
როგორც დაჩრული ფიცარი.

სიცოცხლე გულით მასწავლე,
კაცთ სიყვარული მეც მინდა.
თუ არ მაღირსებ, დაგწყევლი,
დაგწვავ კაცური ცეცხლითა.

ძნელია— გედავს ბორკილი,
ციხესა შიგან ლპებოდე.
უფრო ძნელია ძილისგან
სამშვიდობოში კვდებოდე.

სულ ძილი, ძილი მაგონდებს,
მძიმეა ძილის მუქარა.
არავის აგონდებოდე,
იყავი ქვეყნად თუ არა.

სად ხარ ბედი? სად ხარ ბედო?
არად მაგდებ გულით ხმიერს.
კარგი თუ ვერ გაიმეტე.
შხამი მაინც დაანთხიე.

თარგმანი
სიმონ ჩიქოვანის.

ბელორუსიის გზაზე

ალექსანდრე ქუთათელი

ავტო ქროდა წერტილიდან წერტილზე.
წელმაგარი დედამიწა ბრუნავდა.
ბობრუისკზე ბირბლის ღერძით
ვწერდი მე:
„დღეგრძელობა ბელორუსეთს ქვეყნადა!"

მზე გარღვეულ ღრუბლიდან ხედავდა
მეურნეთა სახლებსა და ხეს, ხულას,
წრე შეუკრავთ არყის ხეებს ველადა
და გარბოდნენ ხელჩართული
ფერხულით.

ხის ფოთლები დაფრენილან პეპლებად,
ფარფატებენ, შრიალებენ ტოტებზე,
თეთრი ფრთები არყებს ტანზე
ელვებათ,—
ნეტავ გატანს ტყის შრიალი
როდემდე?!

ბაღი ვაშლით დატვირთული ღელავდა,
ცაცხვთა შუა ჩანდა ძველი ტაძარი.
თვალით გრაფის სასახლიდან ვხედავდი,
თითქო იდგა გარდასული ხანძარი.

ველებიდან თითქო რბოდნენ—ვისმენდი
პოლონელი ცხენოსნები მოზირზე.
არ შეგვჭამოთ შავმა ჭირმა მის მეტი,—
მანქანებით ათასი ძნა მოზიდეს.

ძველი ტანჯვა გაქრა, ყველას
გაშოროთ,
ქერის პური წინ ბზესავით ეყარა,
ჩემო კარგო, საყვარელო სამშობლოვ:
საბჭოეთის ბედნიერო ქვეყანავ!

თუ რად იყო ჩემი გული ავსილი
ამა ქვეყნის სიყვარულით ნუ მკითხავ:
გვერდზე მიჯდა დინჯი მუშა ვასილი,
მინის ქარხნის მიღწევების რუქითა!

მკერდს წითელი უმშვენებდა ორდენი:
განვლილ ომის თვალში ცეცხლი ეხატა.
აბოტებდა ცაზე ტივის ოდენი
გომელიდან მფრინავების ესკადრა.

ფიქრში ვიყავ ფიქალ გზებზე
გართული,
გულში მედო სიმღერები ვალადა,
ალალი და ჩქარი, როგორც ქართული
ტაში, დოლი, გაფრენილი „ვარადა".

ქ. გომელი.
1935 წ.

რაფიელ ერისთავი

(გარდაცვალების 35 წ. თავის შესრულების გამო)

შალვა რადიანი

მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის რაფიელ ერისთავს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი როგორც ისტორიულ-ლიტერატურული ფიგურა, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს დღემდის ჩვეულებრივად წარმოდგენილი აქვთ. მკითხველი საზოგადოება რაფ. ერისთავს იცნობს როგორც პოეტს, ხოლო მისი მრავალმხრივი მუშაობა სხვა სფეროში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობის თვალსაზრისით, თითქმის სრულიად უცნობია. გარდა პოეზიისა, რაფ. ერისთავი პროზის დარგშიაც მუშაობდა. მას აქვს დაწერილი მთელი წყება მოთხრობებისა. რაფ. ერისთავს თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი დრამატურგიის სფეროშიც. იგი ავტორია თხუთმეტიოდე ორიგინალური და გადმოკეთებული პიესისა და მრავალ დრამატიული სცენისა. ამასთანავე რაფ. ერისთავი მოღვაწეობდა როგორც ეთნოგრაფიული მასალების შემკრები თუშ-ფშავ-ხევსურეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ. მას მნიშვნელოვანი ფოლკლორული მუშაობა აქვს ჩატარებული ხალხური ლექსების, ზღაპრებისა და გამოცანა - ანდაზების შეგროვების სახით. რაფ. ერისთავი ცნობილია აგრეთვე როგორც ლექსიკოლოგი. თავისი რედაქტორობით გამოსცა მან საბა-სულხან ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი და თვით შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის პრობლემებიც. ამ თემაზე აქვს დაწერილი და წაკითხული მთელი ციკლი ლექციებისა. რაფ. ერისთავი ამავე დროს იყო მრავალი უცხოელი და რუსი ავტორის პოეტურ ნაწარმოებთა საუკეთესო მთარგმნელიც (მიცკევიჩი, ბერანჟე, პუშკინი, კრილოვი და სხვ.).

რაფ. ერისთავის სამწერლო აზროვნების ჩამოყალიბება და განვითარება პირველ პერიოდში მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ თავადაზნაურული, არისტოკრატიული რომანტიზმი წარმოადგენდა გაბატონებულ მიმართულებას. რაფ. ერისთავი იძულებულია „ხარკი" გადაუხადოს ამ მიმართულებას და ამიტომ პოეტური შემოქმედების თემატიკა, შინაარსი და მხატვრული მანერა პირველ პერიოდში მთლიანად შეიცავდა ადრინდელი არისტოკრატიული ლიტერატურის ტრადიციების გაგრძელებას. რომანტიკული პოეზიისაგან რაფ. ერისთავმა აიღო მეტად განსაზღვრული თემები და მოტივები. იგი გვევლინება ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვ. სალხინო-სატრფიალო ხაზის გამგრძელებლად. ამ პერიოდის მისმა ლირიკულმა ნაწარმოებებმა კრიტიკულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მიიღო საზელწოდება ანაკრეონისტული, ეპიკურეული ლირიკისა. იგი გამოდის ვნების მომღერლად, უსაზღვრო სიამოვნების და ნეტარების მქადაგებლად. (იხ. ლექსი „ვინ შევიყვარო", „ნატვრა", „ჩვიდმეტი წლის ქალი", „სინანული" და სხვა). ასეთივე ხასიათის იყო მისი თარგმნები **იურკევიჩიდან, მიცკევიჩიდან, ოგარევიდან, და ბრეკოვიდან**. თარგმანები აღნიშნული პოეტებიდან შედიოდა რაფ. ერისთავის პოეზიის ერთიან თემატიკურ კომპლექსში.

40—50-იან წლებში რაფ. ერისთავისათვის არ არსებობდა ბატონისა და ყმის ურთიერთობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანებში მათ შორის გამწვავებული იყო დამოკიდებულება და მძაფრ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში რაფ. ერისთავი ვერ ხედავდა წოდებრივ ურთიერთობის სახეს და კერძოდ ყმების ცხოვრების მძიმე პირობებს. გლეხობის მდგომარეობის შესასწავლად მას საკმაოდ დიდი მასალა ჰქონდა პირადი დაკვირვებიდან. ამას ადასტურებს მისი ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები. მხოლოდ 60-იან წლებში სვამს პირველად ამ საკითხს თავის პოეზიაში რაფ. ერისთავი. 1857 წელს ეკუთვნის „მთხოვნელი მსაჯულისადმი". ამ ლექსში ავტორი ეხება ბატონყმური სინამდვილის ეპიზოდურ სურათს. გლეხის ქალი ცრემლითა და თავმდაბლობით ემუდარება ბატონს შვილის დაბრუნებას:

მოველ ბატონო, ღმრთისა მსაჯულო
გენაცვალების შენ ჩემი თავი,
მხურვალეთა გთხოვთ, ცრემლითა
გვედრი,
გულს მომაშორე მე ცეცხლი მწვავი;
გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი;
დედა ვარ მისი, განა მომკლავი?
სხვა რათ პატრონობს ჩემსა ნაშობსა
რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი
სხვავი?

ცნობილია, რომ მებატონეთა ლიტერატურა ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდა ფეოდალურ წყობილებაში არსებულ ღრმა და მწვავე წინააღმდეგობებს, კერძოდ იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც ჰქმნიდა ბატონყმური უღლების არსებობა. მებატონეთა ლიტერატურის თვალსაზრისით, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ჩვენში იყო დამყარებული მამა-შვილურ, კლასთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე. მათთან შედარებით, რასაკვირველია, პროგრესული მოვლენა იყო რაფ. ერისთავის მიერ ბატონყმური სინამდვილის რეალური წინააღმდეგობების კონკრეტული ფაქტების ჩვენება, მისი მორალურ-ჰუმანიური თვალსაზრისით მხილება.

როგორც ვიცით საგლეხო რეფორმა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ მთავრობამ ისე ჩაატარა, რომ არსებითად მემამულეთა ინტერესები დაიცვა და გლეხობა კვლავ თავადაზნაურობის ბატონობის მძიმე უღელში დატოვა. „რეფორმის" შემდგომ პერიოდში ურთიერთობა გლეხობასა და მემამულეებს შორის გამწვავდა. ეს კლასობრივი შეტაკება ხშირად შეიარაღებულ აჯანყებამდეც მიდიოდა, და თვითმპყრობელობის აგენტები მთელი სისასტიკით ჰქრობდნენ გლეხთა აჯანყებებს.

რაფიელ ერისთავი ცოლშვილით

ამ ხანას ეკუთვნის რაფ. ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდი. ამ პერიოდში იგი თავისუფლდება რომანტიზმის ტყვეობიდან და მის პოეზიაში ჩნდება, როგორც ძირითადი თემა: გლეხობის ყოფა-ცხოვრების ასახვა-დახასიათება. ამ დროის ლექსებში რაფ. ერისთავმა ბევრი ნამდვილი გლეხური სიტყვა, გამოთქმა შეიტანა და სალიტერატურო ენასაც მიაღებინა. იგი დაუახლოვდა ხალხურ შემოქმედებას. რაფ. ერისთავის დიდი ძალა და მნიშვნელობა, როგორც მწერლისა, დამყარებულია სწორედ ამ ლექსებზე.

რაფ. ერისთავი უმთავრეს ყურადღებას აქცევს გლეხის შრომას. გლეხის ცხოვრების მიზანი ყამირის დამუშავებაა. ასეთი შრომის გარეშე მას თავისი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, გაზაფხულიდან მოკიდებული იწყებს იგი მიწასთან ბრძოლას და დაზამთრებამდის განაგრძობს მას. როდესაც გლეხი თავისი შრომის ნაყოფს ხედავს, იგი სრული ბედნიერია. რაფ. ერისთავის გლეხის მხიარულება და მწუხარება ინდივიდუალურია. მისი სიცოცხლე მიწის ჩიჩქნაში ილევა და ამიტომ ყველაფერი უყვარს, რაც კი შრომაში ეხმარება. მეურნე-გლეხისათვის მიწა გამხდარა საოცნებო საგნად. იგი ხედავს, რომ მიწა სხვას ეკუთვნის, შრომა და ჯაფა მას. მისი მიზანია, რომ საყიდლად არ ჰქონდეს მიწა, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრება:

ე როგორ არის ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია:
მიწა სხვისია, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია...
ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ რა ვიცი,
მე რაღა დამაღონებდა?!
(„ბერუას ჩაფიქრება")

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობის ცხოვრების მეტად დამაღონებელი სურათია. სამწუხაროდ, ჩვენი პოეტი არ ეძებს იმ სოციალურ ძირებს, ასეთ აუტანელ პირობებში, რომ აყენებს გლეხობას. იგი ვერ ხედავს, თუ რა კავშირი აქვს გლეხობის ცხოვრების მძიმე პირობებს თვითმპყრობელურ-მემამულეთა ექსპლოატატორულ სახელმწიფოებრივ სისტემასთან.

ბერუაც, სესიაც და მათი მრავალი თანამოძმე მოთქვამენ იმაზე, რომ მათი არსებობის მთავარი პირობა მიწაა, მაგრამ იგი სხვის საკუთრებას შეადგენს. ღარიბ გლეხობას უხდება შრომა, ნაყოფი კი სხვას მიაქვს. რაფ. ერისთავის გლეხი და მისი გრძნობა, აზროვნება, იდეალი. ნატვრა და იმედი გადამეტებით მიწიერია, მიწის სუნი უდის, მისი გლეხი მხოლოდ მიწას ჩასჩერებია, მას ჩაჭკვრია. გლეხობა გონების თვალით მაღლა არ იხედება, წარსულს არ იგონებს.

ღარიბი გლეხობის მყვლეფელთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მაშინდელ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. გლეხობის კისერზე იყო ჩამოკიდებული ყველა და ავიწროებდა მას. სწორედ ამ გარემოების შესახებ ჩივის საწყალი ბერუა:

ყველა მე ჩამომეკიდა:
მამასახლისი, გზირია...
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა
მე ჩემი გასაჭირია?!
(„ბერუას ჩივილი")

ეს გასაჭირი მართლაც დიდი იყო. გზირსა და „ნათლია" მამასახლისს მოყვება და ჩარჩი და სხვა. სოფლის პატრიარქალურ ცხოვრებაში შეიჭრა ჩარჩი-ვაჭარი. გლეხი მაგრად გაება მის მიერ მოხერხებულად გამართულ ბადეში. სწორედ ასეთ სურათს გვიხატავს პოეტი ლექსში „დემეტრეს ჩივილი". დემეტრეს—ჩარჩ-ვაჭარი შემომჭარვია ნათლიად და მისი სახლკარი გაუხდია „სალაშქროდ, სანადიმოდ".

„დემეტრეს ჩივილში" რაფ. ერისთავი დამაჯერებელ სახეებში იძლევა ჩარჩ-ვაჭრების გაუმაძღრობის, თაღლითობისა და ბოროტმოქმედების სურათს. ვაჭარი ათასგვარი გაიძვერული ხერხით ცდილობდა ღარიბი, გაჭირვებული გლეხის მოტყუებას, თავის საწველ ფურად გადაქცევას. ეს პროცესი თვალსაჩინო ხდება განსაკუთრებით საგლეხო რეფორმის შემდეგ, როდესაც, ერთის მხრით მეტი გასაქანი მიეცათ სოფლად სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებს.

საგლეხო რეფორმის შემდეგ მთელი სიმძაფრით წამოიჭრება ხიზნების საკითხი. ხიზანი პიროვნულად თავისუფალი მიწის მეურნე იყო, ცხოვრობდა ბატონის მამულში, ამუშავებდა მას და იხდიდა ბატონის სასარგებლოდ გადასახადს, როგორც ყოველი ყმა. ხიზანი ქონებრივად სავსებით დამოკიდებული იყო მემამულისაგან. საგლეხო რეფორმა ხიზნებს სრულებით არ შეხებია. „ხიზანნი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძველზე, რომელნიც არიან განწესებული თავისუფალ კაცთათვის"—ამბობდა მთავრობის მიერ გამოცემული კანონი. გათამამებული მემამულეები ცდილობდნენ ხიზნები აღეარებიათ ვადიან მიწის მოიჯარადრეებად, მათ მიერ მიწის სარგებლობისათვის, წინააღმდეგ ჩვეულებისა, დაეწესებიათ ვადა და ვადის გასვლის შემდეგ დაეყენებიათ საკითხი ახალი პირობების ან სხვა პირზე მამულის გადაცემის შესახებ. ამ მიზანს მემამულე ხშირად აღწევდა ხოლმე, ხიზანი ხდებოდა მემამულის უბრალო მოიჯარადრედ, რომლის აყრა ბატონს უბრალოდ შეეძლო მრავალი წლობით ნამუშევარ ადგილიდან.

რაფ. ერისთავი ლექსში „მოხუცებული ხიზანი უმაწვილ მემამულეს" სწორედ ამ მწვავე საკითხს ეხება. მოხუცი ხიზანი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთ ადგილზე ცხოვრების შემდეგ იძულებულია დატოვოს თავისი ნაამაგარი, მძიმეა მისთვის ოჯახის დანგრევა და ამიტომ ემუდარება მემამულეს:

ვაჟო, რათ მითხოვ აქედან,
ნეტა რა დაგიშავეა?
ღმერთმა ხომ იცის, მე შენთვის
არა ვყოფილვარ ავია...
ხარჯს ვიძლეოდი რიგიანს,
არ დამიკლია ბეგარა,
ხიზანი ვიყავი მე შენი,
შენ ჩემი თავი გებარა.
ნუ მიზამ ღმერთი გაცოცხლებს,
ი მამა შენის ლხინსა,
შემოგეხიზნივარ შენ კალთას,
შენგნითვე ველი რჩენასა.

რაფ. ერისთავმა ამ ლექსში მეტად თავისებური გზა დაისახა მემამულეთა და ხიზნებს შორის დაწყებული კლასობრივი წინააღმდეგობის „შესანელებლად", ისტორიულად ცნობილია, რომ წინააღმდეგობა მემამულესა და ხიზნებს შორის არა თუ ნელდებოდა, პირიქით, უფრო და უფრო მწვავდებოდა. თუ რამდენად მწვავდებოდა დამოკიდებულება ხიზნებსა და მემამულეებს შორის, ამას გვიჩვენებს სხვა მრავალ ფაქტს შორის ხიზნების მიერ მემამულეთა მკვლელობანი აგრარულ ნიადაგზე.

რაფ. ერისთავი არ იყო მებრძოლი პოეტი, მასში შემარიგებლობის ტენდენციები იყო გაბატონებული, აქედან მოჭარბებული ჰუმანიზმი, რომელსაც სხვათა შორის, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მისი შემოქმედების მკვლევარნი. რაფ. ერისთავის პოეტური ხედვის ძირითად თვისებას შეადგენს გრძნობათა ჰარმონია და სულიერ განწყობილებათა ზომიერება: ყოველთვის და ყოველგან, თითქმის იქაც, სადაც პირველი შეხედვით ბოროტების მეტი არა ჩანდა რა, იგი ეძებდა სიკეთეს, აზრიანობას, სიმშვენიერეს. ამიტომ იყო, რომ იგი მეტისმეტად „ალამაზებდა", გლეხის მძიმე შრომას და ტრაგედიას იდილიად აქცევდა ხოლმე („სურათი", „რას შემომცქერი ძმობილო" და სხვ.) რაფ. ერისთავი გლეხობაში აფასებდა არა ბრძოლის უნარს და მისწრაფებას უკეთესი მომავლისაკენ, არამედ მის მოთმინებას და უსაზღვრო მძიმე შრომას, მცირედით დაკმაყოფილებასა და რელიგიურ-ქრისტიანულ სიმშვიდეს. რაფ. ერისთავმა გლეხობაში დაინახა და გამოსახა არა საუკუნოებით დაგროვილი ბოღმა და პროტესტი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, არამედ პატრიარქალური სიმშვიდე და უწყინობა, ფატალისტური მორჩილება ბუნების ძალებისადმი, მონური თავისდადება ღმერთისა და ბატონისადმი.

რაფ. ერისთავი არ გვიჩვენებს გლეხობის ძლიერ მხარეს. პოეტი სახავდა რა გლეხობის ტანჯვას, აღფრთოვანებული იყო მისი ხასიათის იმ თვისებებით, რომელზედაც დამყარებული იყო მორჩილება და სიმშვიდე. გლეხების მთელ რიგ კოლორიტულ ფიგურებში რაფ. ერისთავი აპოეტურებს სწორედ ამ მხარეს.

რაფ. ერისთავის რეალიზმი იყო შემოფარგლული, განსაზღვრული და გამოხატავდა ლიბერალურ-მსახურთა ფენების მისწრაფებებს შეერბილებია კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც ფაქტიურად უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. რაფ. ერისთავის რეალიზმი გამოხატავდა სრულ შერიგებას მის თანამედროვე სინამდვილესთან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რაფ. ერისთავის შემოქმედება წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. ეპოქა, რომელშიც მიმდინარეობდა რაფ. ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობა, იყო დიდ სოციალ-ეკონომიურ გარდატეხათა ეპოქა, ეპოქა, როდესაც ინგრეოდა ძველი—ბატონყმური ურთიერთობა და ბატონდებოდა კაპიტალიზმი. მიუხედავად ისტორიული და სოციალური განსაზღვრულობისა, რაფ. ერისთავი, რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა ამ გარდატეხითი ეპოქის საზოგადოებრივი ვითარება, უდავო თვალსაჩინო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ერისთავის მრავალფეროვანი შემოქმედება წარმოადგენს ისეთ მემკვიდრეობას, რომელიც ლენინის სიტყვებით რომ ვსთქვათ „არ ჩამბარებია წარსულს, რაც ეკუთვნის მომავალს. ამ მემკვიდრეობას ღებულობს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს პროლეტარიატი".

პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული სალიტერატურო წრე

„ფედერაციის"-გამოცემები

მწერალთა კავშირის სამდივნომ მოისმინა გამომცემლობა „ფედერაციის" სამუშაო გეგმის შესრულების შესახებ მოხსენება.

გამომცემლობას გეგმის მიხედვით პირველ კვარტალში უნდა გამოეცა 548.000 ამონაბეჭდი (133 საავტორო ფორმა 35.000 ტირაჟით). 1-ლ აპრილისათვის უკვე გამოცემულია 133 ფორმა 35.000 ტირაჟით და 585.000 ამონაბეჭდით. ამრიგად „ფედერაციი"-ს 1-ლ კვარტალის გეგმა შეუსრულებია, ამონაბეჭდების მხრივ კი — გადაჭარბებით.

მეორე კვარტალში გეგმის მიხედვით „ფედერაცია"-მ უნდა გამოსცეს 8 სახელწოდების წიგნი (124 ფორმა 35.000 ტირაჟით და 562.000 ამონაბულბა", 8. ბაირონის „კაენი და მანლობას უკვე სტამბისათვის აქვს გადაცემული: 1. გ. ერისთავის თხზულებები, 2. ვ. ფშაველას რჩეული ნაწერების ერთტომეული, 3. მანსვეტაშვილის მემუარები, 4. აზიანის თხზულებათა ერთტომეული, 5. ფურმანოვის „ჩაპაევი", 6. ს. ქვარიანის „დიდმოურავიანი", 7. გოგოლის „ტარას ბულბა", 8. ბაირონის „კაენი და მანფრედი", 9. შანშიაშვილის „არსენა", 10. ირ. ევდოშვილის თხზულებათა მე-2 ტომი. 11. აქვს. ცაგარელის თხზულებები. 12. პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", 13. ლ. არდაზიანის თხზულებები. 14. მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი" და სხვა. მათი საერთო მოცულობა შეადგენს 268 ფორმას 510.000 ტირაჟით და 1.262.000 ამონაბეჭდით. აღნიშნულ წიგნების ნაწილი უკვე გამოცემულია.

მესამე კვარტალისათვის „ფედერაცია"-ს უკვე შედგენილი აქვს თავისი საგამომცემლო გეგმა. მზადდება: ბექა ოპიზარი, უმიკაშვილის „ხალხური ზეპირ-სიტყვაობა", გ. ქიქოძის წერილების კრებული, მ. გვასალიას მოთხრობები, ი. ტატიშვილის მოთხრობები, მაიაკოვსკის რჩეული ნაწერები, ს. ეულის ლექსები, პ. იაშვილის ლექსები, გ. ლეონიძის ლექსები, მ. ბაჟანის ლექსები, ირანული ლირიკა, ლ. ტოლსტოის „აღდგომა", ს. კლდიაშვილის „მოგონებები" დავით კლდიაშვილზე და ალ. გომიაშვილის „სიმღერა ათასეულზე"".

გარდა ამისა გამომცემლობას გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს წიგნების სერია სახელწოდებით „შესანიშნავ ადამიანების ცხოვრება". უკვე იწერება ამ სერიიდან შემდეგი წიგნები: ვაჟა-ფშაველა, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ეგნატე ნინოშვილი.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა გამომცემლობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ „ფედერაციის" საგამომცემლო პროდუქციის 2 მესამედი იწყობოდა სხვადასხვა სტამბებში ზედმეტი დატვირთვის სახით.

ახლა უკვე გამომცემლობას გადაწყვეტილი აქვს თავისი გამოცემები ბეჭდოს მხოლოდ საკუთარ სტამბაში. ამ მიზნით გამომცემლობამ მოახდინა სტამბის რეორგანიზაცია, გაადიდა საამწყობო საამქრო, სამანქანო საამქროში დაუმატა მანქანები და სხვა.

გამომცემლობას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მოაწყოს საკუთარი ლიტოგრაფია და ცინკოგრაფია, რაც ხელს შეუწყობს როგორც წიგნის დროზე გამოშვებას, ისე მის თვითღირებულების გაიაფებას.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით წიგნის დამზადებასა და გამოშვებას გამომცემლობა უნდება საშუალოდ 2 თვე. არის შემთხვევა, როცა წიგნი უფრო ადრეც გამოდის. ძველად კი თვითოეულ წიგნის გამოშვებას „ფედერაცია" უნდებოდა ერთი წელიწადი და ხშირად მეტიც.

მოხსენების გარშემო კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ საგრძნობლად გარდაქმნა „ფედერაციი"-ს მუშაობა, როგორც წიგნის თავის დროზე გამოშვებისა და მისი ტექნიკური ხარისხის ამაღლების მხრივ, ისე ავტორებთან ნორმალური და საქმიანი დამოკიდებულების საქმეშიც.

მიუხედავად ამისა, გამომცემლობას ჯერ კიდევ საკმაო ნაკლი აქვს და უპირველესად „ფედერაციი"-ს საგამომცემლო გეგმაში თანამედროვე ავტორებს ძალზე მცირე ადგილი უჭირავთ.

გამომცემლობა ვალდებულია მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხის მოგვარებას.

კლასიკურ მემკვიდრეობასთან ერთად საბჭოთა მკითხველს უნდა მივაწოდოთ თანამედროვე მწერლების ახალი ნაწერები. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მიმდინარე ლიტერატურულ საკითხებზე კრიტიკული წერილების კრებულთა გამოცემას. გარდა ამისა წიგნის გამოსაცემად მიღების დროს უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს მის ხარისხს მხატვრულ ღირებულებას, თუ რამდენად საჭიროა და აუცილებელი მისი გამოცემა.

საბავშვო სცენარი ბავშვების სამსჯავროზე

12 მაისს დილით მწერალთა სასახლის სხდომების დარბაზი და საგაზაფხულოდ ამწვანებული ბაღი არაჩვეულებრივ სტუმრებს იღებდა: სასახლეში გროვდებოდნენ საცდელ-საჩვენებელი და სანიმუშო სკოლების წარმომადგენელნი საბავშვო სცენარის მოსასმენად. მაგიდასთან სხედან: მწერალი ნ. ნაკაშიძე, სცენარის ავტორი ი. მოსაშვილი და რეჟისორი პერესტიანი. „მეგობრებო,—მიმართავს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტსექციის სახელით ამხ. ნ. ნაკაშიძე ბავშვებს,—სცენარი, რომელსაც თქვენ ახლა წაგიკითხავენ, სათანადო ორგანოებში უკვე მრავალჯერ არის წაკითხული და განხილული, მაგრამ ავტორსა და რეჟისორს სურთ, სანამ სცენარის გაფორმებას დაიწყებდნენ, თქვენი, ბავშვების აზრიც მოისმინონ. ბავშვების ცხოვრებას თქვენ უფრო კარგად იცნობთ. შესაძლებელია, ბევრი რამ გამორჩენილია, იქნებ ზოგი რამ კიდეც შესწორდეს. გვითხარით თქვენი აზრი და ჩვენ განსაკუთრებული სიამოვნებით მივიღებთ მხედველობაში თქვენს შენიშვნას".

რეჟისორ პერესტიანი თავისი არტისტული ოსტატობით კითხულობს გმირი ქალის თავგადასავალს. ბავშვები სულგანაბულნი უსმენენ. ჯანსაღი დრამატიზმით დაწერილი ფინალი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. იწყება შეკითხვები. ბავშვების გულისყური დასაწყისში სცენარის ტექნიკური დეტალების გარშემო ტრიალებს: „რატომ ნაჩვენები არ არის, ბოხჩაში რა ჰქონდა შენახული", „თოკი სადა ჰქონდა", „მიწაზე დაქცეულ ნავთში კაბა როგორ ამოავლო", „ასანთი ასე ერთბაშად სად იშოვა",—კითხულობენ ბავშვები და თან პატარა ფურცლებზე აღნიშნულ თავიანთ შენიშვნებს სინჯავენ. შეკითხვები თანდათან ღრმავდება, რთულდება, ახლა ბავშვებს სიუჟეტი, ტიპაჟი და იდეოლოგიური მხარე აინტერესებთ. „მთვრალი კაცის უადგილო საქციელს კოლმეურნეები სხდომაზე სიცილით რადა ხვდებიან, რატომ გულისწყრომას არ იჩენენ?", „დავითი რომ საგანგებოდ არ მისულიყო კრებაზე კულაკის გამოსამჟღავნებლად, განა კოლმეურნეობის დანარჩენი წევრები კი არ იცნობდნენ ამ კულაკს?", „რატომ სცენარში ნაჩვენები არ არის, რად მოისურვა ნინიამ კოლმეურნეობაში შესვლა?", „განა უკეთესი არ იქნებოდა, ნინია ტყეში გაქცეულიყო და ძაღლს იქ მოესწრო საკოლმეურნეო ქონების დამზარალებლისთვის, მატარებელში რომ მიძვრება, ეს როგორღაც არ მომწონს",—კითხულობენ დიდის ხალისით ნათაძე ლ. ახობაძე ვ., წერეთელი კ., ჩოგოვაძე, ნაცვლიშვილი დ. მათიაშვილი. ახალგაზრდა დამფასებლები კამათში მიესალმებიან ახალ საბავშვო სცენარს. „კარგი სცენარია"—ამბობს ორდენოსანი ეთერი გვანცელაძე.

ავტორი და რეჟისორი შეკითხვებზე განმარტებებს აძლევენ ბავშვებს და უცხადებენ, ბევრი თქვენი შენიშვნა საფუძვლიანია და სცენარში სათანადო შესწორება იქნება შეტანილიო. მოწაფეები ავტორს და რეჟისორს ჰპირდებიან, სკოლაში ვითათბირებთ სცენარის სათაურის შესახებ და ჩვენს აზრს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტსექციას ვაცნობებთო.

ვაჟა-ფშაველას საღამო

15 მაისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ვაჟა-ფშაველას საღამო.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით ვაჟას შემოქმედების შესახებ გამოვიდა ამხ. გერონტი ქიქოძე. მომხსენებელმა ფართოდ დაახასიათა ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება.

მოხსენების შემდეგ ლექსებით გამოვიდნენ პოეტები და მსახიობები: გ. ქუჩიშვილმა წაიკითხა ლექსი „ვაჟას", ვ. გორგაძემ—„ვაჟას ხსოვნას" და ვაჟას ლექსი „აკაკის საიუბილეოდ", ალ. გომიაშვილმა თავისი ლექსი—„ვაჟასადმი" და ვაჟას ლექსი „სიმღერა" (—„აღარ მესტუმრა არწივი"), ვალერიან გაფრინდაშვილმა წაიკითხა ლექსი „ვაჟა და ფიროსმანი". მსახიობმა პიერ კობახიძემ წაიკითხა ვაჟას ლექსები: „ბაკური", „ჩივილი ხმლისა", „გიგია" და „სიმღერა" („გამოღმა მე ვარ, გაღმით შენ"), მსახიობმა ვარდიაშვილმა ფანდურზე დაამღერა ვაჟას ლექსები.

ვალდებულება უნდა შესრულდეს

დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქემ იცის, რომ რკინისგზის ტრანსპორტი უკვე აღარ წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ვიწრო ადგილს. დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლის ამხ. **ლაზარე კაგანოვიჩის** უშუალო ხელმძღვანელობით სატრანსპორტო მეურნეობის ყველა დარგში მოპოებულია გადამწყვეტი გამარჯვება. მთელი კავშირის მშრომელი მოსახლეობის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი რევოლუციური წარსულის მქონე რკინისგზის პროლეტარიატი დღეს სამეურნეო ფრონტზე განაგრძობს თავის გმირულ ტრადიციებს.

ჩვენდა საამაყოდ უნდა ვთქვათ, რომ ამ უდიდეს წინსვლაში ა-კ. რკინისგზა არ გამოეთიშა მოკავშირე რესპუბლიკების ტრანსპორტს და დაიჭირა საპატიო ადგილი საკავშირო ქსელში, კერძოდ, ტფილისის სადგურის მეურნეობის სტახანოველ კრივონოსელებმა პირველობა მოიპოვეს ა-კ. რკინისგზების სადგურებს შორის და დღეს კისრულობენ ვალდებულობას არა თუ შეინარჩუნონ, არამედ მიაღწიონ კიდევ უფრო მეტ წარმატებას.

მათ სავსებით დაიმსახურეს უფლება მოსთხოვონ საბჭოთა მწერლობას, რომ მან მხატვრულად ასახოს სოციალისტური ტრანსპორტი, მისი ახალი ადამიანები, მათი შრომა, კულტურული ზრდა, განახლებული ყოფა-ცხოვრება. სწორედ ამ მოთხოვნებს შეიცავს ის მიმართვა მწერლისადმი, რომელიც ტფილისის სადგურის კრივონოსელმა მუშებმა ჩვენი დედაქალაქის გაზეთებში გამოაქვეყნეს.

მაგრამ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამაზე შვიდი-რვა თვით ადრე თვით რკინის კომისარმა ამხ. ლ. კაგანოვიჩმა მოუწოდა საბჭოთა მწერლებს შექმნან ტრანსპორტის მუშაკთა მხატვრული სახეები, ასახონ მათი ყოველდღიური გმირული ბრძოლა სოციალიზმისათვის.

ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ ქართველი საბჭოთა მწერლები. ა.-კ. რკინისგზის პოლიტგანყოფილების და მისი ორგანოს „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას" ინიციატივით ამხ. **როზენცვეიგსა** და ამხ. **პავერმანთან** ერთად შესდგა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის თათბირი. ამ შეხვედრისას მწერლებმა მიიღეს დაპირება, რომ რკინის გზის ხელმძღვანელობა შექმნიდა პირობებს — მწერლები არჩევისამებრ გაცნობოდნენ ტრანსპორტის სხვადასხვა უბნებს და იქ მომუშავე მოწინავე ტრანსპორტელებს. თავის მხრივ მწერლებმაც იკისრეს ვალდებულება ნარკვევების, ლექსების, მოთხრობების სახით მოეცათ რკინისგზის ცალკე უბნებისა და მისი მოწინავე ადამიანების დღევანდელი მდგომარეობის მხატვრული სურათი. მას შემდეგ გავიდა ექვსი - შვიდი თვე და უკვე დადგა დრო საბჭოთა საზოგადოებრივობამ გაიგოს, როგორ ასრულებს მწერალთა ჯგუფი თავის დაპირებებს.

სწორედ ამ მიზნით მწერალთა კავშირის სამდივნოს თვითანგარიშით წარუდგა მწერალთა ზემოხსენებული ჯგუფი.

რა მდგომარეობაა, ვის რა აქვს გაკეთებული? მოვიყვანოთ ანკეტის სახით მწერალთა მიერ სამდივნოში წარდგენილი თვით-ანგარიში.

ნ. ზომლეთელი — დავყავი სამი კვირა ფოთის მტვირთავ მუშებში, გავეცანი მათ, დავაგროვე მასალები. უკვე დაწერილი მაქვს სამი ლექსი და დავიწყე ექვსფორმიანი მოთხრობის წერა მტვირთავი მუშების ცხოვრებიდან. სამსახური საშუალებას არ მაძლევს ამ საქმეს უფრო მეტი დრო მოვანდომო.

ალ. გომიაშვილი — სამი კვირა გავატარე ქუთაის-ტყიბულის ხაზზე. დავუახლოვდი ადგილობრივ რკინისგზელებს, შევარჩიე ტიპაჟი პოემისათვის, რომლის სიუჟეტი ადრე მქონდა მოფიქრებული. პოემის თემაა ორი მემანქანის სოციალისტური შეჯიბრება.

სოლომონ თავაძე — მივლინებული კიყავი სამტრედია - ბათუმის რკინისგზის უბანში, ჯერჯერობით შესრულებული მაქვს მხოლოდ წინასწარი მუშაობა პატარა მოთხრობის დასაწერად.

ვასო გორგაძე — ვწერ პოემას ელმავლის მემანქანეზე. ხუთი დღე დავყავი ხაშურში, მაგრამ ეს დრო არ კმარა საჭირო მასალის დასაგროვებლად. ერთ თვეს კიდევ ვიმუშავებ ამ უბანში და სექტემბრისათვის დავამთავრებ, როგორც პოემას, ისე სიმღერას „ელმავლის სტალინურ ჰიმნს".

მ. გვასალია — რამდენჯერმე ვეწვიე ჩემთვის კარგად ნაცნობ უბანს—სურამის უღელტეხილს, და გარდა იმისა, რომ ახალი მასალების მიხედვით ვაპირობ გადავამუშაო რუსულად გამოსაცემი ჩემი რომანი „სურამი", ვფიქრობ დავწერო მოთხრობა გზის ოსტატის ცხოვრებიდან.

ს. ეული — ვეწვიე ბაქოს რკინისგზელ მუშებს მხოლოდ ერთი კვირით. საკმაო მასალის დაგროვება ვერ მოვასწარი, საჭიროა მეორეჯერ წასვლა.

ს. წვერავა — ვაწარმოებ კულტურულ მუშაობას რკინისგზელებში. ერთ-ერთი სამტრედიელი მემანქანის ბიოგრაფიულ მასალაზე ვამუშავებ თემას, თუ როგორ ზრდის ახალ კადრებს პარტიის ზეგავლენით სრულიად გამოცვლილი ძველი მუშა. ამ მიზნით ორი კვირა ვიმუშავე სამტრედიაში. საჭირო ხდება დაგროვილი მასალის ღრმა შესწავლა, რომ შევიძლო დაწყებული მოთხრობის დამთავრება.

როგორც ამ საანკეტო ცნობებიდან ჩანს, მწერლებს მხოლოდ პროექტები აქვთ და რეალურად სულ ცოტა რამ გაუკეთებიათ. დაგვიანებას მწერლები იმით ამართლებენ, რომ მცირევადიანი მივლინება საკმაო არ აღმოჩნდა თემის არჩევისა და მასალების დასაგროვებლადო. მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არ არის. არ ვარგა ის მეთოდი, რომელიც მათ აურჩევიათ, ორი-სამი დღის სტუმრობით, სხვების მიერ გადმოცემული ამბებით თანადროული მხატვრული ნაწარმოები არ შეიქმნება. საჭიროა მწერალი რაიმე პრაქტიკული მუშაობით დაუკავშირდეს იმ ობიექტს, რომლის ასახვასაც იგი ფიქრობს, და არ გადაიქცეს გასტროლიორად, დიდი ამბების უბრალო მოწმედ და გარეშე მაყურებლად. მწერალმაც არჩეულ უბანში რამე საქმე უნდა აკეთოს და მასთან ისე უნდა მოაწესრიგოს თავისი მუშაობა, რომ დარჩეს დრო მასალების განზოგადოებისა და მხატვრული დამუშავებისათვის. სწორედ მუშაობის ასეთ მეთოდს ურჩევს მწერლებს საბჭოთა კავშირის სასიქადულო მწერალი **მაქსიმ გორკი**, დრო კიდევ რჩება. მწერლებმა იგი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და ისარგებლონ იმ გამოცდილებით, რომელიც რუს მწერლებს აქვთ.

სამდივნოს ზემოხსენებულ სხდომაზე მწერლებმა მოიწონეს ამხ. ს. თავაძის და ამხ. ბ. ჟღენტის წინადადება, უკვე დაგროვილ მასალის მიხედვით ერთ თემატიურ ღერძზე აგებული და შედგენილ იქნას „ბელმორსტროის" მსგავსი მხატვრული კრებული. ეს იქნება მეორე მაგალითი მწერალთა კოლექტიური მუშაობისა, რომელიც, როგორც ჩვენი ქართველი მწერლების, ისე რუსი მწერლების გამოცდილებამ გვიჩვენა, წარმოადგენს მუშაობის მაღალ კლასს, ჩინებულ სკოლას ყოველი ცალკე მწერლისათვის. ეს მეთოდი მწერლებს აჩვევს მასალების გეგმიან დაგროვებასა და შერჩევას, ერთი მეორის ნამუშევრის რედაქტორობას, ურთიერთ-კონსულტაციას, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ერთმანეთის წინაშე, ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, ერთი მეორისაგან ოსტატობის გადაღებას.

საქმე დაყოვნებას ვერ ითმენს. ზემოხსენებულ მწერალთა ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელად გამოყოფილ იქნენ ამხ. სანდრო ეული დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მუშაობას, რომ გამართლებულ იქნას დაპირება ისე, როგორც ეს სოციალისტური ტრანსპორტის გმირ კრივონოსელებს შეეფერებათ.



რეპინი ბურლაკები

რეპინის სურათების გამოფენა მოსკოვში

11 მაისს მოსკოვში ტრეტიაკოვსკის გალერეიაში გაიხსნა რუსეთის სახელგანთქმული მხატვრის ილია რეპინის სურათების გამოფენა.

გამოფენას, რომელზედაც წარმოდგენილია 1000 სურათი უჭირავს გალერეიას 8 დარბაზი. რეპინის ნამუშევართა ასეთი გამოფენა ეწყობა პირველად.

მოსკოვში პირველად არის გამოფენილი მხატვრის ცნობილი სურათი „ბურლაკები". ეს სურათი ჩამოტანილია კიევიდან. საერთოდ გამოფენა შედგენილია ტრეტიაკოვსკის გალერეის და ლენინგრადის რუსულ მუზეუმების ფონდებიდან და კიევის, ხარკოვის, გორკის, სიმფეროპოლის, სარატოვის, ტფილისის, სვერდლოვსკის მუზეუმებში მოთავსებულ სურათებიდან. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე სურათები კერძო კოლექციებიდან.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის თანამედროვე თვალსაჩინო სწავლულთა, მწერალთა, კომპოზიტორთა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები, „პარიზის კაფე"-ს ეტიუდი და მრავალი სურათი რევოლუციურ თემებზე („კომუნარების კედელთან", არ ელოდნენ", „პროპაგანდისტის დაპატიმრება" და სხვა).

ახალი წიგნები

გიორგი ერისთავის ერთტომეული

გა-ბა „ფედერაცია"-მ გამოსცა გიორგი ერისთავის თხზულებათა სრული კრებული შალვა რადიანისა და იაკობ ბალახიშვილის რედაქციით.

ერთტომეულში ცნობილი და დაბეჭდილი ნაწერების გარდა გამოქვეყნებულია გ. ერისთავის დღემდე უცნობი 17 ლექსი, კომედია „დავა" ახლად აღმოჩენილ ავტოგრაფის მიხედვით, ახლახან ნაპოვნი „მოგზაურობა ევროპაში", 10 პირადი ბარათი და სხვა მასალები.

გამოცემას დართული აქვს შალვა რადიანის კრიტიკული წერილი გ. ერისთავის შესახებ და იაკობ ბალახიშვილის მიერ შედგენილი შენიშვნები.

წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 10 მანეთი.

„როგორ იწრთობოდა ფოლადი"

ქართული მხატვრული წიგნის მასიური მკითხველი კარგა ხანია ელოდა ქართულ ენაზე ნ. ოსტროვსკის რომანს „როგორ იწრთობოდა ფოლადი". სახელგამმა დროულად აღნიშნა ეს მოთხოვნილება და 10.000 ტირაჟით გამოსცა აღნიშნული თხზულება. წიგნი თარგმნილია როდიონ ქორქიას მიერ, გამოცემულია კარგ ქაღალდზე და ღირს 4 მანეთი.

„მთვარის მოტაცება" უკრაინულად

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება" იბეჭდება უკრაინულ ჟურნალში „რადიანსკაია ლიტერატურა"-ში. პირველი თავები მოთავსებულია მეთხე ნომერში. წიგნს მთლიანად გამოსცემს უკრაინის სახელგამი.

მაიაკოვსკის ერთტომეული ქართულად

გამომცემლობა „ფედერაცია" სცემს ვლადიმერ მაიაკოვსკის რჩეულ ნაწერების ერთტომეულს ქართულად. კრებულში მოთავსებული იქნება თარგმანები პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის, ნ. მიწიშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. გაჩეჩილაძის, მ. პატარიძის, ირ. აბაშიძის და სხვ.

კრებული გამოვა მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში.



„გზები და ბილიკები"

რედაქციამ მიიღო პავლე საყვარელიძის ახალი წიგნი „გზები და ბილიკები". წიგნი გამოცემულია „ფედერაციის" მიერ.

წიგნი ჩასმულია კალენკორის ყდაში და ღირს 10 მანეთი.

მკითხველ კოლმეურნეთა პირველი სარაიონო შეკრება თელავში

ბეჭდვითი სიტყვის დღეს—5 მაისს, გაზეთ „კოლმეურნის ხმა"-ს ინიციატივით დამკვრელ სოფლკორებთან ერთად შესდგა მხატვრული ლიტერატურისა და გაზეთის მკითხველ კოლმეურნეთა პირველი სარაიონო შეკრება.

შეკრებამ განიხილა ორი საკითხი: 1. მუშ-სოფლკორთა ამოცანები სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით და 2. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კოლმეურნეობებში (მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ლიტწრეების მუშაობის ორგანიზაცია, საკლუბო და საწრეო მუშაობა და სხვ).

კამათში მონაწილეობა მიიღო 15-ზე მეტმა კოლმეურნემ და სამმა დამწყებმა კოლმეურნე მწერალმა. მოკამათეები აღნიშნავდნენ სოფლის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, მხატვრულ ლიტერატურაზე მათი მოთხოვნილების ყოველდღიურ ზრდას და კოლმეურნეობებში კულტურული მასიური მუშაობის სისუსტეს.

მათვე აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობებში ვერ სდგას კედლის გაზეთების მუშაობის საკითხი სათანადო სიმაღლეზე. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არ აქცევენ საჭირო ყურადღებას კოლმეურნეთა შორის კულტურულ მუშაობას და სხვ.

შეკრებას დაესწრნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სახელგამის სავაჭრო სამმართველოს უფროსი ამხ. **ბ. ჩხარტიშვილი** და საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელი პოეტი **ვასო გორგაძე**, რომელმაც სიტყვის შემდეგ, წაიკითხა საკუთარი ლექსები.

შეკრებამ მიიღო გადაწყვეტილება—მკითხველ-კოლმეურნეთათვის მხატვრული ლიტერატურის მინიმუმისა და მაქსიმუმის დაწესების შესახებ.

დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები მუშ-სოფლკორებთან მუშაობის გაშლის შესახებ.

შეკრებამ მისალმება გაუგზავნა ამხ. ლ. ბერიას და მიიღო საქართველოს საბჭოთა მწერლებისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი.

ვაჟას ერთტომეული

ფედერაციამ გამოსცა ქართული კლასიკური მწერლების სერიიდან ვაჟაფშაველას რჩეული ნაწერების ერთტომეული. ტექსტი დადგენილია ალ. აბაშელის მიერ. რედაქცია ეკუთვნის გერონტი ქიქოძეს. წიგნს თანდართული აქვს გერონტი ქიქოძის ვრცელი წერილი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნში მოთავსებულია ვაჟას რჩეული ლირიკა, პოემები და მოთხრობები, გამოცემულია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 431 გვერდს და ღირს 11 მ. 80 კ.

უკრაინული თეატრი ტფილისში

5 ივნისს ტფილისში ჩამოვა ფრანკის სახელობის კიევის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი **გნატ იურა**. თეატრი ძოდის ტფილისში საგასტროლოდ მთელი შემადგენლობით — ორკესტრით, ბალეტით, მომღერალთა გუნდით და სხვ.

6 ივნისს თეატრი შეუდგება საგასტროლო წარმოდგენების დადგმას. სულ გათვალისწინებულია 20 საგასტროლო წარმოდგენის გამართვა, რის შემდეგაც თეატრი უკანვე დაბრუნდება.

პატარა ფელეტონი

„პადსტროჩნიკი"

პოეტი ბელთაძე თავის ოთახში იჯდა და მუშაობდა, როცა მასთან მეგობარი—ესეც მწერალი, — მელთაძე შევიდა.

— ახალ პოემას სწერ? — შეეკითხა მელთაძე.

— პოემას კი არა, პადსტროჩნიკებს ვაკეთებ. — წაიბურტყუნა ბელთაძემ. — გამიჭირა ერთმა სტრიქონმა საქმე, ვერ მოვახერხე გადარუსულება... მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ ვთქვა რუსულად: ორკუზიანი ჩემი აქლემი სივრცეს მიარღვევს".

— მაგაზე ადვილი რაა, შე კაცო, — დაამთქნარა მელთაძემ — ორკუზიანიო, შენ ამბობ? ტაკს, ტაკს.. ორკუზიანი ...

— ჰო, ორკუზიანი! — მიაჩერდა ბელთაძე.

— მდა.. ორკუზიანი.. — ჩაფიქრდა მელთაძე.

მელთაძე ფიქრობდა. ბელთაძე უცდიდა.

— აჰა, მივხვდი ახლა, — სთქვა მელთაძემ, — ესე იგი შენს აქლემს ორი კუზი ჰქონია.. ასეა, ხომ?..:

— ჰო, კაცო, რაა აქ გაუგებარი?

— დაიცა, ადამიანო, ნუ კი ცხარობ... პადსტროჩნიკებს აკეთებ, უბრალო საქმე ხომ არაა.. დაზუსტებული უნდა იქნეს ყველაფერი. ასე თუ არ იქნა, ლექსს აზრი მოაკლდება და პოეტური სურნელება დაეკარგება... მაშასადამე, შენ სწერ, რომ ორკუზიანიო..: ა? ორკუზიანი, არა? დაიცა, ახლავე გეტყვი...

ჩაფიქრდა მელთაძე.

ერთხანს იფიქრა, მერე მეგობარს შეხედა და ჩუმად მიმართა:

— კი მარა, მაინცდამაინც ორკუზიანი უნდა იქნეს? მაგალითად, რა უჭირს რომ ერთკუზიანი გეყოლოს? რავა, ვითამ ამით აზრი შეიცვლება?

— ლექსში მაქვს ასე, თორემ...

— ერთკუზიანი გახადე, ძმობას გეფიცები, მაგით არაფერი დაუშავდება, — გახალისდა მელთაძე, — იმდენი შენ სიკეთე, რამდენიც ასეთი აქლემი მენახოს..

— აგრე იყოს. — ადვილად დათანხმდა ბელთაძე.

— ასე დაგეწერა თავიდანვე, შე კაიკაციშვილო! რა დაგიჯინია მაინცდამაინც ორკუზიანი.. ახლა მაგის პადსტროჩნიკიც ადვილად გაკეთდება..

— **კი ბატონო, თანახმა ვარ!** — ჩაილაპარაკა ბელთაძემ და შეატყო, რომ მეგობარი ზედმეტ ლაპარაკს გაჰყვა.

— ნუ კი გაცხარდები, შე კაცო! — თავზე მოუთათუნა მელთაძემ.. — დამიჯერე, ასე აჯობებს. საერთოდ ეს იცოდე, რომ გაორებული არაფერი ვარგა, — არც ადამიანი, არც იდეა, არც ცხოველი... რომ არ გინდა, ისე შეგეპარება იდეოლოგიური სიმახინჯე..

— ეგ ვიცი, მარა შენ ის მითხარი, როგორ ვთქვა რუსულად.

— გეტყვი, დაიცა... ოღონდ ეს მითხარი ჯერ, რა მიაქვს იმ შენ აქლემს?

— რა მიაქვს? — გაკვირვებით შეხედა ბელთაძემ, არაფერი.

— აბა უქმად მიაბიჯებს ეს ამხელა ცხოველი? თავი მოგიძულებია, უდაბნოში გზას დადგომიხარ და აქლემი ცარიელი მიგყავს?

— აქლემების გამყოლი კი არა ვარ, შე კაი კაცო!

— აჰუ, არ ვარგა ეგ! — ხელი გაიქნია მელთაძემ. — არაფრად არ ვარგა. უდაბნოს ტრანსპორტს ასე რავა გააცდენს კაცი?!

— თუ კი არაა ეგ ლექსში?

— არაა და უნდა იქნეს.. აი, მაგალითად, დაკიდე ბამბა და წამოაღებინე..

ბელთაძეს გაოცებისაგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა.

— რაებს მეუბნები, ადამიანო, რა ბამბა, რის ბამბა? ახალ ლექსს მაწერიებ თუ?

— ჩაუმატე, აუცილებლად ჩაუმატე ეს სიტყვები! დაიჯერე.. — ურჩევდა მელთაძე.

— თუ კი არაა ჩემს ლექსში?

— მოგცლია შენ. რა ვუყოთ მერე! შენ ჩაწერე და მერე მთარგმნელმა ატეხოს თავი.. დაჯდეს და სწეროს შენ მაგიერ ვითამ შენი ლექსი.. აბა რა პადსტროჩნიკია, თუ სიტყვა—სიტყვით სთარგმნე ყველაფერი. მაშინ არც მთარგმნელი მოკიდებს მაგას ხელს..

— შეუძლებელია! — წამოიძახა ბელთაძემ, — მე ჩემს ლექსს არ გავაფუჭებ!.

— არ გნდომია ითარგმნოს და ეგაა!—სთქვა მელთაძემ. — მაგ აბდაუბდას არავინ გადათარგმნის ისე.

გამწარდა ბელთაძე. ნერვიულად იწყო სიარული ოთახში. პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. აღარ იცოდა რა ექნა.. ბოლოს დაჯდა და სასოწარკვეთით შეხედა მეგობარს.

— ჯანდაბას შენი თავი.. ჩავუმატებ მაგ სტრიქონებსაც..:

—აი ჭკვიანი კაცი! — გახალისდა მელთაძე, — რომ გითხრა, დამიჯერე. შენი სიკეთე მინდა და იმიტომ გეუბნები.. მსოფლიოს მოეფინება, იცოდე, შენი სახელი...

— არ დავეძებ, ბატონო, მსოფლიოს..: შენ ახლა ის მითხარი, რავა იქნება არა „ერთკუზიანი ჩემი აქლემი"...

— ახლავე, ახლავე! — გაამხნევა მელთაძემ — „ერთკუზიანი ჩემი აქლემი", ..ა? ერთკუზიანი, არა?

— ჰო!

— მდა.. ერთკუზიანი.:: ტაკს:::

— ჩაფიქრდა კიდევ. მერე ბელთაძეს შეხედა.

— დიდი უშნო ცხოველი კია ის ოჯახდასაქცევი. რა საჭიროა ეს კუზი რომ აქვს?

— ასე აქვს და, რა ვქნა ახლა.. მე ხომ არ გამიჩენია?.::—წაიბურტყუნა ბელთაძემ.

— არა, შენ, რასაკვირველია. დამნაშავე არა ხარ, მარა...

— რა მარა? — კითხა ბელთაძემ.

— რა და, არ შეიძლება სულ არ ვახსენოთ ის კუზი? მოეხსნათ სულ ის კუზი და ის იქნება...

— კაცო, შენ რას მიშვრები?—წამოვარდა ბელთაძე — ჯერ იყო და ორკუზიანი ერთკუზიანად გამიხადე, მერე ბამბა შემაკიდებინე ზედ და ახლა იმ ერთ კუზსაც არ მიტოვებ? შენ თუ ყური გიგდე, მე ვიცი, იმ ჩემ აქლემს ბოლოს ვირადაც გადამიქცევ!..

— ა? რაო? ვირადო? — თვალი დაჭყიტა მელთაძემ — დიდებული აზრია, შენ ნუ მომიკვდები... ძმობას გაფიცებ, ვირად გახადე დამიჯერე, კიდევ აჯობებს. ჯერ ერთი რომ კეთილი ცხოველია და მერე არც კუზი აქვს იმ დალოცვილს... თავსატეხად აღარ გვექნება საქმე: მაგის პადსტროჩნიკიც უცბად გაკეთდება და შენი საქმეც! ნიჭი ხარ, ხალასი ნიჭი ხარ, იცოდე! შემოაჯექი შენც და, იალლა, გაუდექი გზას...

ახლაც ზის ბელთაძე და ღრმა ფიქრებისთვის მიუცია თავი: არ იცის, რა ქნას, გააკეთოს როგორმე „ერთკუზიანის" პადსტროჩნიკი, თუ მართლა ვირად აქციოს და გაიადვილოს საქმე? ლექსის აზრი მაინცდამაინც არ იცვლება

იანიჩარი



პუშკინის წიგნების გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს პატარა შენიშვნას თქვენს გაზეთში:

ჩემი ლექსი „მეხი" რომლის ადგილები მოყვანილია ამხ. დ. დემეტრაძის მოხსენებაში (იხ. გაზ. „კომუნისტი", გაზ. „სალიტერატურო საქართველო") დაბეჭდილია კორექტურული შეცდომებით იგი გასულ წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში" შემდეგ კორექტურული შეცდომებით:

დაბეჭდილია:
თითქო ეკიდა, როგორც ბაზალეთი.
უნდა იყოს:
თითო ეკიდა...
დაბეჭდილია:
გვანდნენ ღრუბლებში შემუსვრილ ხომალდებს
უნდა იყოს:
აგვანდნენ ღრუბლები შემუსვრილ ხომალდებს..

ხსენებული კორექტურული შეცდომები, რომელიც არ გასწორებულა ჟურნ. „მნათობში", განმეორებულ იქნა დემეტრაძის მოხსენებაში. გაზ. „კომუნისტში" მას მოჰყავს ჩემი სტრიქონი „მაისი ლალით დარძევებული.

უნდა იყოს:
მაისის ღალით დარძევებული

ხოლო „ლიტ. საქართველოში" კორექტურული შეცდომები კიდევ გამრავლდა

მე მაქვს:
უცებ მოსწყდა ნაპირთან
დაისარტყლა გაფითრდა
მოხსენებაში მოყვანილია:
..დაისარტყლა, განვითარდა (!)

ამას გარდა გამოტოვებულია ლექსის მეექვსე სტრიქონი.

მე მაქვს:
აგვანდნენ ღრუბლები შემუსვრილ ხომალდებს
ხან მხედართმთავრებს, ხან დამწვარ ქალაქებს,
აიფხვნენ.. და სხვა

ამხ. დემეტრაძეს თავის მოხსენებაში გამორჩა მეორე სტრიქონი, რაც ლექსში ქმნის გაუგებრობას.

მასვე თავის მოხსენებაში შეცდომით აქვს მოყვანილი მეორე ლექსში ერთი სიტყვა:

მე მაქვს: მოუგერისა ამხ. დემეტრაძის მოხსენებაშია: მიუგერისა.

გიორგი ლეონიძე.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში პავლე იაშვილის სიტყვაში გაპარულია შეცდომა: სწერია: ავიღოთ „ვეფხვის-ტყაოსანი", ეს არის მაღალ ლიტერატურულ დონეზე აყვანილი ხალხური შემოქმედება"— უნდა იყოს „ავიღოთ „ვეფხი და მოყმე" ეს არის".. და სხვა.

მეორე ადგილას დაბეჭდილია: „ჩვენამდე ხალხური ლექსი აღწევს მრავალ ლაბორატორიაში გავლის შემდეგ „ვეფხისტყაოსანივით" ჩვენამდე მოდის" და სხვა. აქაც უნდა იყოს „ვეფხი და მოყმესავით".

პ.-მ. რედაქტორი აკ. თათარიშვილი
პ.-მ. მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა 7067